რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ხუთშაბათი, 1 თებერვალი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 25 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 25

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
ხელის მოწერის პირობები

1 თვით	4 მან. 50 კ.	6 თვით	27 მანეთი
2 თვით	9 მანეთი.	1 წლით	50 მანეთი
3 თვით	13 მ. 50 კ.	ცალკე № ყველგან	20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ აიძულა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦIЯ „ЭРТОБА“
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ივანე ძიძიშვილი, მართა ხელაძისა, ელპიტე გოგოტიშვილისა, ფოტინე და ელისაბედ (ფუცე) ძიძიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ იანვრის 29 სოფ. უჩხობში გარდაიცვალა პირველი სამის დედა, ხოლო მეორენის დედამთილი

ქალოჯან (ქრისტინე) ძიძიშვილი

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს პირველს თებერვალ სოფ. უჩხობში სტეფან-წმინდის ეკლესიაზე. (1—1)

კოოპერატივებო და კოოპერატორებო,

დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
ამიერ-კავკ.-სიის საკოოპერაციო კავშირი.

მოქალაქენო!

ამით გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ 1918 წლს 1 იანვრიდან, თამბაქოს ფაბრიკა ძმათა ფირალოვებისა, აღებულია იჯარით გარეგინ ვართანის ძე ბუზოღლის მიერ.

ჩვენ გვაქვს დამზადებული აუარებელი, საუკეთესო სოხუმის, მაიკოპის და ყირიმის თამბაქოები, აგრეთვე ჩვენგან შეძენილია ნამდვილი თათრული თამბაქო, საჯაროთ გაყიდული სევასტოპოლში, როგორც სამხედრო ნადავლი.

მქონე დიდის გამოცდილებისა თამბაქოს საქმეში, თანამშრომლობდით მრავალ ხნის განმავლობაში და ვაწოდებდით ფურცლათ თამბაქოს რუსეთის დიდ ფაბრიკებს, აგრეთვე შევისწავლეთ ადგილობრივ შერჩევა და არევა (мѣшка) თამბაქოსი—ეგვიპტეში და ამერიკაში.

ვბედავთ ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ფირმის მიერ გამოშვებული ნაწარმოები, როგორც ფასით, ისე ღირსებითაც იქნება კონკურენციის გარეშე.

იმედი გვაქვს, რომ არ დაგვტოვებთ უყურადღებოთ და ღირს გვყოფთ შეკვეთითა.

ფაბრიკის კანტორა და თამბაქოს მაღაზია ღიაა: დილის 9 ს-დან 2-მდე, ნაშუადღევის 4-დან 6 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, საკ. სახ. ფოსტ. ყუთი № 20.

ტელეგრამის ადრესი: ქუთაისი, თამბაქოს ფაბრიკა ბუზოღლი.

(2—1) პატივისცემით რწმუნებული გ. ვ. ბუზოღლისა, ა. გ. ტკეციშვილი.

საკომერციო ცოდნის კურსები
ა. ნ. ინწკირველისა
ბათუმში.

კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ დღე საღამოობით 5—8 საათ. კურსებზე მიიღება ყველანი უმაღ. პირველდაწყებითი სასწავლებლის ცოდნით. კურსებზე ასწავლიან: საერთო ბუხგალტერიას, კომერციულ ანგარიშს, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო და სათამასუქო სამართალს, საბანკო ბუხგალტერიას, კოოპერაციას—საკრედიტოსა და მომხმარებელს.

მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვლიდან მარინის ქალთა სასწავლებ. შენობაში.

სწავლის ფასი 200 მანეთი.

კურსებზე ჩაწერა შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში გამგეობის მდივანთან 12—2 საათამდე. (6—4)

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებება. ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე)

ექიმი ა. ი. ვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. ვ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ძლიერი მთავრობა

ყველას ენაზე აკერია ადგილობრივ მთავრობის უძლურება, ზოგი გულის ტკივილით და ზოგიც სიხარულით უცქერის ამ მოვლენას. დასკვნა აქედან ერთად-ერთია: ყველა მოითხოვს ძლიერ მთავრობის შედგენას და ანარქიის სათავეშივე ჩახრჩობას.

ჩვენ არ ვიზიარებთ პესიმისტების უკიდურეს შეხედულობებს, ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი მთავრობა არც ისე უძლურია, როგორც ბევრს გონია. რასაკვირველია, მას არ ყავს ჯაშუშების გროვა, მის განკარგულებაში არ მოიპოება ზარბაზნების და ტყვიისმფრქვევლების ის რიცხვი, რომელიც მეფის მთავრობის განკარგულებაში იყო, ახალ მთავრობის აგენტები არ მიმართავენ მოწინააღმდეგეთა დასათრგუნავათ სხვადასხვა დასაშინებელ ზომებს, როგორც ამაში მაძებარ პოლიციის მოხელენი იყვენ დახელოვნებულნი.

მიუხედავათ ამისა, ადგილობრივი მთავრობა საკმაოთ ძლიერია თავისი ზნეობრივი გავლენით და საჭიროების დროს მას რეპრესიების ხმარაც შეუძლია. რაც შეეხება სოფლათ ყაჩაღთა თარეშს, მართალია, ამ სამწუხარო მოვლენას ადგილი აქვს, მაგრამ გადაჭარბება არც აქ ვარგა: მოიგონეთ ცნობილი ზელიმხანი—რამდენ ხანს ებრძოდა მას და ისიც უნაყოფოთ ძველი მთავრობა. ვიმეორებთ, ახალი მთავრობა არც ისე უძლური და სუსტია, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. ყოველ შემთხვევაში, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მას შემშემდეგ, რაც რევოლიუცია დაიწყო, ამ თერთმეტი თვის განმავლობაში, რუსეთის არც ერთ კუთხეში არ ყოფილა მთავრობა უფრო ძლიერი, ვიდრე ამიერ-კავკასიის ადგილობრივი მართველობა. მისი სისუსტე აიხსნება იმით, რომ რევოლიუციის ხანაში, როცა ყოველივე არსებული ნგრევას განიცდის, შეუძლებელია ვიოცნებოთ ისეთს მტკიცე წესიერებაზე, რომელიც ინგლისში ან შვეიცარიაში არსებობს.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ არსებული მდგომარეობა ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებდეს. რევოლიუცია ღრმავდება და იმავე დროს ძლიერდება და ირაზმება კონტრ-რევოლიუციონური ძალა, რაც ხელს უწყობს არევდარევას და ანარქიის გაძლიერებას. ამის მიხედვით საჭიროა მთავრობის გავლენის და ავტორიტეტის გაძლიერება, საჭიროა უფრო ძლიერი მთავრობის შექმნა, ვინემ ეს დღეს არის.

როგორ შეიძლება ეს?

ორს უკიდურეს ზომაზე გვითითებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. ერთი მიმართულების აშკარა გამომხატველია ჩვენებურ ეროვნულ-დემოკრატების ორგანო „საქართველო“. ის მთავრობის უძლურების მიზეზათ ამიერ კავკასიის ერთი ცენტრის არსებობას ასახელებს. მოსპეთ ეს ცენტრი და წესიერებასაც მკვიდრი საძირკველი ჩაეყრება. ამისთვის გაზეთს საჭიროთ მიაჩნია, რომ ეროვნულმა საბჭომ დაუყოვნებლივ საქართველოს მთავრობათ გამოაცხადოს თავი და მოწვეულ იქნას საქართველოს დამფუძნებელი კრება. ამ მიმართულების მიმდევართა რიცხვი ჩვენში თითზე ჩამოითვლება, იმდენათ უმნიშვნელოა ის, და ამიტომ არც ჩვენ გამოუდგებით მასთან კამათს.

არის მეორე უკიდურესობა, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგებიც თანაუგრძნობენ. ამ მიმდინარეობამ გარს შემოიკრიბა თითქმის მთელი ადგილობრივი რუსობა განურჩევლათ პარტიული რწმენისა. ამ მიმდინარეობის იდეიური სულის ჩამდგმელია ბოლშევიზმი, რომელსაც, თუმცა მორცხვათ და გაუბედავათ მხარს უჭერს სომხის პარტია დაშნაკცუტიუნი. ყველა ესენი სიტყვით ბოლშევიზმს უარყოფენ, მაგრამ ყველანი ბოლშევიზმის მოძღვრების გავლენის ქვეშ არიან, ყველანი უარყოფენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ამ მხრით სრულებით წაიშალა განსხვავება სოციალისტ-რევოლიუციონერებსა და ბოლშევიკ-დაშნაკელთა შორის. ესენი ყველანი ადგილობრივ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ და მომავალ სეიმის მუშაობას უარყოფით უცქერიან. დაუცადეთ რუსეთის დამფუძნებელ კრებას, ასეთია მათი მოთხოვნილება.

ჩვენის ფიქრით, ეს დიდი შეცდომაა. მას შემდეგ, რაც ლენინის მთავრობამ დამფუძნებელი კრება გარეკა და საზოგადოთ მასხარათ აიგდო თვით იდეა დამფუძნებელ კრებისა, მას შემდეგ, რაც ლენინმა რუსეთის ნორმალურ წყობილებათ საბჭოების რესპუბლიკა გამოაცხადა, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ახლო მომავალში სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება შესდგება და ის მოუვლის ქვეყნის ბედსო. ჩვენ განუსაზღვრელ დრომდე საკუთარ ძალების ამარა დავრჩით მიტოვებული და სხვა გზა არ არის, თავს უნდა ვუპატრონოთ. ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი—ეს ის დაწესებულებაა, რომელმაც დამფუძნებელ კრების მაგიერობა უნდა გასწიოს ამიერ-კავკასიის ცხოვრების მოწყობის საქმეში. ვინც ამას არ ხედავს, ის პოლიტიკურ სიბრმავით არის შეპყრობილი.

როგორ უნდა იმოქმედოს ამ სეიმმა? ცხადია, მან უნდა გამონახონ ის საერთო გზა, უნდა იპოვოს ის საერთო ძაფი, რომლითაც ამიერ-კავკასიის ყველა ერების ინტერესებია ერთმანეთზე გადახლართული. ასეთია ზავის ჩამოგდების და მიწის საკითხი, რომელიც ყველა ერების დემოკრატიას თანაბრათ აინტერესებს. ამ ნიადაგზე შეუძლია სეიმს ავტორიტეტით შეიმოსოს ყველა ერების დემოკრატიის თვალში და ასე განმტკიცებული შეუდგეს ეროვნულ ტერიტორიების გადამიჯვნას და ამ ტერიტორიებში ეროვნულ თვითმართველობის დამყარებას საფუძველი ჩაუყაროს. რეალურ ძალის შექმნა, ჯარის შედგენა—ეს საშუალება იქნება, რომელსაც სეიმი დაეყრდნობა თავის მოქმედებაში.

ერთის სიტყვით, ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმის დროზე მოწვევა და მისი გავლენის გაძლიერებისთვის ხელის შეწყობა—აი რა უნდა იყოს დემოკრატიის სამოქმედო გეგმა. ამიერ-კავკასიის ხსნა მხოლოდ აქ უნდა ვეძიოთ.

სახალხო მილიცია

დღეიდან უნდა შეუდგენ ჩვენში სახალხო მილიციის მოწყობას. ჩვენი დიდი ხნის ოცნება, სოციალდემოკრატიულ პარტიის პროგრამის ერთი მოთხოვნათაგანი, ხორცს ისხამს, სინამდვილეთ ხდება.

ჩვენი პროგრამა წინააღმდეგია მუდმივი ჯარის. მუდმივი ჯარი საფრთხეს წარმოადგენს როგორც საგარეო მშვიდობიანობისთვის, ისე შინაურ დემოკრატიისათვის. დღევანდელმა ომმა ცხადჰყო ყველასათვის, რომ შეიარაღებული ხალხი ყველაზე უფრო საიმედო იარაღია როგორც გარეშე მტრის მოსაგერიებლათ, ისე შინაური წეს-რიგის დასაცავათ.

ჩვენც ამ შეხედულებაზე ვდგევართ. მაგრამ რადგან მილიციის მოწყობა და გაწვრთნა დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ საჭიროა დროებით სამსახურში მოვიხმოთ რამდენიმე წლის გასაწვევი ახალგაზდა, რომ ყოველ მოსალოდნელ შემთხვევისთვის მზად ვიყვეთ. ასეთი გაწვევა ჯარში თავის დროზე გამოცხადდება, დემოკრატიაც მას შეგნებულათ შეხვდება და თავის მოვალეობას პირნათლათ შეასრულებს, სახალხო მილიციის შექმნა კი საშვილიშვილო საქმეა.

რატომ არის, რომ აქა-იქ სოფლათ ყაჩაღების ჯგუფები დათარეშობენ და მცხოვრებლებს იკლებენ? ვის შეუძლია ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლა? ერთის მხრით, რასაკვირველია, სამსახურში მყოფ მილიციას, მუდმივ დარაჯებს. მაგრამ ამათი რიცხვი მცირეა და ამიტომ ყაჩაღები ხშირათ დაუსჯელი რჩებიან. შეიარაღებული მთელი სოფელი კი ისეთი ძალაა, რომელსაც ვერავითარი ყაჩაღთა ბრბო ვერ გაუმკლავდება.

ყაჩაღებს გარდა მოსალოდნელია გარეშე მტრების დაცემაც. ამ მხრით ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. თითქმის ყოველი მხრიდან რკინის რკალივით გარს გვარტყია სხვადასხვა ველური ტომები, რომელნიც მხოლოდ შეიარაღებულ ძალის წინაშე იხრიან ქედს. ამას დაუმატეთ მოსალოდნელი კონტრ-რევოლიუცია და შეიარაღებულ ძალის საჭიროება ცხადი გახდება.

ბევრს ყალბი შეხედულება აქვს მილიციაზე. ფიქრობენ, ყველას სახლებში დაურიგდებათ თოფები და თავის ნებაზე იმოქმედებენო. ეს შეცდომაა. არსად ისე საჭირო არ არის შეკავშირება და წესრიგი, როგორც შეიარაღებულ ძალის ხმარებაში. ამიტომ საყოველთაო მილიციის შედგენა სულაც არ ნიშნავს იმას, ვითომ ყველას თავისუფლათ შეეძლოს თავის ნებაზე მოქმედება. საერთო წესი, დისციპლინა სახალხო მილიციისთვისაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. განსაზღვრულ პუნქტებში ადგილობრივ მთავრობის ჩვენებით და ხელმძღვანელობით თავს მოიყრის ყველა ჯანმრთელი მამაკაცი, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლია და მცოდნე პირების დახმარებით სამხედრო ვარჯიშობას შეუდგება. ამ რიგათ შედგება ჩვენი მომავალი სიძლიერე, შეიქმნება სახალხო ჯარი, რომელიც გარედან მოსულ მტერს ღირსეულათ დაუხვდება და შიგნით ხალხის მტრებს გასაქანს არ მისცემს.

ემზადეთ! დადგა დრო, როცა ჩვენი ბედის გაჭედვა ჩვენსავე ხელთ არის. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ღირსი ვართ თავისუფლების და ადამიანურ ცხოვრების, უნდა დავანახოთ ქვეყანას, რომ მოპოვებულ თავისუფლებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ.

ჩვენი მომავალი ჩვენს საკუთარს ხელშია!

პრესა

ბოლშევიკების გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ კვლავ განაგრძობს პროვოკაციულ აგიტაციას, გუშინდელ ნომერში პირველ გვერდზე არშინიანი ასოებით არის დაბეჭდილი მოწოდება: **გაფრთხილება მიმავალ ეშელონებს.** „გაფრთხილებაში“ სწერია:

ამხანაგო სალდათებო! ისინი, ვინც გარწმუნებენ თფილის-ბალაჯარას შუა გზა საშიში არ არისო, გლალატობენ. თერთმეტ ეშელონს, რომელიც ახტალში იდგა და ამიერ-კავკასიის მთავრობას მიენდო, სადგურ ხაჩმაზთან თავს დაესხნენ და სროლა აუტეხეს. გაჩაღდა ბრძოლა, რომელიც დღემდის გრძელდება.

მატარებელს, რომელიც თფილისიდან ბაქოს გაემგზავრა, განჯასთან სროლა აუტეხეს და გაძარცვეს.

ჩვენ მოღალატეები და ბოროტ მოქმედნი ვიქნებოდით, რომ არ გვეთქვა თქვენთვის, თუ რა სახიფათოა ჩრდილოეთ კავკასიისკენ მოგზაურობა.

მოიგონეთ შამხორის ამბები, სალდათების სამი წლის ომის შემდეგ შინ მიმავალ დაღლილ სალდათების უმანკოთ დაღვრილი სისხლი და ფრთხილათ იყავით.

ნუ მიატოვებთ თქვენ იმ ამხანაგებს, რომლებთანაც სამი წლის განმავლობაში ეწეოდით საერთო შრომას, იტანდით სიცივეს და შიმშილს და რომელნიც დღეს ვაგონების უქონლობის გამო მთებს იქით არიან უმწეოთ დარჩენილნი და როცა ძალას მოიკრებთ საერთო მრისხანე ოჯახით გაემართებით ჩრდილოეთ კავკასიაზე.

კავკასიის ჯარის რევოლიუციონერო სალდათებო! მოიხადეთ ეს უკანასკნელი ვალი რევოლიუციის, მუშათა და გლეხთა ქვეყნის და თქვენი ძმების წინაშე, რომლებსაც ხვრეტენ და ერეკებიან ამიერ კავკასიის ნაციონალისტების და ობორონცების ხროვები“.

ასე უქადაგებს ბოლშევიკური გაზეთი იმ სალდათებს, რომლებმაც სამ წელიწადს სანგრებში ჯდომის დროს სავსებით დაკარგეს მოქალაქობრივი გრძნობა, ფრონტი გაატიტვლეს, ხალხის ქონება უპატრონოთ მიატოვეს და შინ მიეჩქარებიან. ბოლშევიკებმა კარგათ იციან, რომ ასეთი უკაცრავათ პასუხია ჯარი, თავს არ შეიწუხებს ვიღაც ლენინის მთავრობის დასამყარებლათ და ამიტომ სხვა ხერხს მიმართავენ: აშინებენ დაღლილ სალდათებს: ერიდეთ, ბაქოს გზაზე თავს დაგესხმიან და ფეხი არ მოიცვალოთო. ამავე დროს ურცხვილოთ მიუთითებენ შამხორის ამბებზე, თუმცა კარგათ იციან, რომ შამხორის ამბებში ყველაზე მეტი ბრალი თვით ბოლშევიკებს უდევთ. სხვას რომ ვერას გახდენ, სადგ. ხაჩმაზე დაცემასაც ჩვენ გვაბრალებენ, თუმცა ხაჩმაცი ბალაჯარს იქით არის. რა სურთ ბოლშევიკებს: მათ სურთ დაღლილ სალდათებს გზა-კვალი აუბნიონ, როგორმე თფილისს დაატაკონ და ამ გზით ერთხელ კიდევ სცადონ შაუმიანის გაკომისარება. ამას ეძახიან ისინი მუშათა და გლეხთა დიქტატურას!

ამ ძმათა შორის ომის მქადაგებლებს კიდევ შესწევთ გამბედაობა ჩვენ უზნეობა გვიკიჟინონ. იგივე „კავკაზსკი რაბოჩი“ სწერს: „არც ერთი პოლიტიკური პარტია რევოლიუციის დროს ისე არ დაცემულა ზნეობრივათ და პოლიტიკურათ, როგორც ამიერ-კავკასიის მენშევიკებიო“ და რომ ეს ველური ბრალდება დაასაბუთოს, ხელაღებით ცილს გვწამებს: ყარაულოვს პატრონები და თოფები გაუგზავნესო. მაგრამ გაზეთი ამ ცილისწამებას არ სჯერდება. ის იხსენიებს საოლქო ცენტრის კრებაზე მომხდარ სამწუხარო ინციდენტს, რომელსაც ამხ. რამიშვილსა და ჯუღელს შორის ქონდა ადგილი და აქედან თავისებური დასკვნა გამოყავს. გაზეთი ატყუებს მკითხველებს და არწმუნებს, რომ რაკი ამხ. ნ. რამიშვილს ერთმა პირმა უსაბუთო ბრალდება წაუყენა, ამიტომ ვითომ რამიშვილი მართლა დამნაშავე იყოს. მართლა ძნელი წარმოსადგენია ის ზნეობრივი დაცემა, რომელსაც ბოლშევიკები განიცდიან. რომელ რიგიანს და პატიოსან ორგანოს შეუძლია ადამიანს ბრალი დასდოს, როცა ეს ჯერ გამორკვეული არ არის.

ორიოდე სიტყვა

დაშნაკცუტიუნის „ალხარება“.

ამ სათაურით ქვემორე ამა წერილისა ჩვენი მკითხველი წაიკითხავს დაშნაკცუტიუნის მიერ ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს.

სხვა დროს ამგვარ ბრალდებებს ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით, ვინაიდან დაშნაკელთა ბაგეთაგან ხშირათ მოგვისმენია ამათზე უარესი ბრალდებანი, მაგრამ დღეს არაჩვეულებრივ ხანაში ვცხოვრობთ და ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია მასზე შევაჩეროთ ჩვენი ამხანაგების, თანამგრძნობ-მკითხველების და სხვათა ყურადღება.

უპირველესათ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ: ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი მოღვაწეობა იყო და არის აშკარა, ყველასათვის დასანახი, დღის სინათლეზე გამოტანილი.

ჩვენ სალაპარაკოთ მუდამ ერთი ენა გვქონდა, სამწერლოდ—ერთი კალამი.

ჩვენი ნალაპარაკევის გადათქმა ან დამახინჯება შეუძლებელია. ერთობ ბევრი მოწმეები მოიპოვებიან, რომელთაც ეს ნალაპარაკევი მოუსმენიათ.

ჩვენი ნაწერის თუ ნაბეჭდის ამოფხეკას ან წაშლას ვერავინ შესძლებს, რაც არ უნდა ეცადოს, ისეთი ხარისხის მელნითა და საღებავითაა ის აღწერილი თუ აღბეჭდილი.

ამის მიხედვით ჩვენ თამამათ გამოვდივართ და ვამბობთ: დეე გაგვასამართლოს იმ ხალხმა, რომლის სახელითაც თურმე, თუ დაშნაკცუტიუნის ბრალდებას დავუჯერებთ, ამ ხალხის ზურგს უკან ჩვენ დალალობას ვეწეოდით!

დეე გაგვასამართლოს სომხის იმ დემოკრატიამ, რომლის ინტერესების დაცვა დაშნაკცუტიუნის პარტიას მონოპოლიათ აუღია და რომელი დემოკრატიაც ქართველ დემოკრატიასთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული ცხოვრობს და უცხოვრია!

რა უნდა, რას მოითხოვს ჩვენგან დაშნაკცუტიუნის პარტია? ის პარტია, რომელიც ამ 25—30 წლის წინათ ჩაისახა ოსმალეთში ოსმალეთის მოწინააღმდეგე, ამ „ავათმყოფი ადამიანის“ განადგურების მოსურნე რუსეთის თვითმპყრობელობის მთავრობის დიპლომატიის მფარველობის ქვეშ?

სოციალიზმისა და რევოლიუციის ფირმით დაშნაკცუტიუნის პარტია ოსმალეთში რუსეთის მთავრობის დიპლომატიის აგენტობას ეწეოდა, ოცნებობდა რუსეთის თვითმპყრობელობის მთავრობის დახმარებით სულთანის მტარვალობის დამხობაზე, რომ შემდეგ ოსმალეთის სომხეთში მცხოვრებ სომხებისთვის ბედნიერება ხონჩით მიერთმია.

პოლიტიკური პარტიის მიერ ასეთ საქმეში ჩაბმას ეწოდება ავანტიურა. სწორედ დაშნაკცუტიუნის ავანტიურისტულმა მოღვაწეობამ მოუტანა დიდი ზარალი ოსმალეთის სომხობას!

ბევრჯერ დამთავრებულა დაშნაკცუტიუნის ავანტიურა ოსმალეთში მარცხით, როცა, რა თქმა უნდა, დაზარალებული გამოსულა სომხის ხალხი, სომხის დემოკრატია...

დიდი ხანია, რაც ეს პარტია რუსე-

თის საზღვრებში—კავკასიაში ჩამოთესლდა, სადაც მან, როგორც ალექსანდრე ხატისოვმა მოახსენა ვორონცოვ-დაშკოვს 1905 წელს, ფართოდ გაშალა სამოღვაწეოდ ფრთები რუსეთის ორ-თავიანი არწივის მფარველობის ქვეშ.

კავკასიაში დაშნაკციუტუნის პარტიის მოღვაწეობა ყველასათვის აშკარაა და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავარძელებთ.

ვინ არ იცის, რომ ამ პარტიის მეთაურობით მიისწრაფვის სომხის ბურჟუაზია [illegible] ბატონობის განსამტკიცებლათ?

ვინ არ იცის, რომ ამ პარტიის მფარველობით ბატონობს სომხის ხალხზე სომხის სამღვდელოება?!

ჩვენ არ მოგვწონდა და ვგმობდით დაშნაკცუტიუნის პოლიტიკას ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, ავანტიურას, რომელსაც ის ოსმალეთში ეწევოდა.

ჩვენ სომხის დემოკრატია გვიბრალებოდა, რომ მან შიგნით ვერ შექმნა ისეთი სერიოზული ძალა, რომელსაც შეეძლებოდა დაშნაკცუტიუნის ავანტიურასთან შებრძოლება.

ჩვენ არ მოგვწონს, პირდაპირ დამღუპველად მიგვაჩნია დაშნაკცუტიუნის პოლიტიკა, კავკასიაში რომ აწარმოებს ის და ვებრძოდით მას, სამაგიეროთ დაშნაკცუტიუნს არ მოსწონს ჩვენი საერთო სახელმწიფოებრივი მუშაობა, წუნს სდებს ჩვენს ინტერნაციონალიზმს!

ავანტიურით საზრდოობდა დაშნაკცუტუნის პარტია ოსმალეთში.

ასეთსავე „მოღვაწეობის“ გაჩაღებას იწყებს, ალბათ, ჩვენშიაც. ამის დასამტკიცებელი საბუთია ჩვენ მიერ მათივ გაზეთიდან გადმობეჭდილი წერილი...

დაშნაკცუტიუნის „აღსარება“

ჩვენი პოზიცია და ჩვენი როლი.

ამ სათაურით თფილელ დაშნაკელების გაზეთ „აშხატავორ“-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„22 იანვარს შეიკრიბნენ ამიერ-კავკასიიდან დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატები, რომ ერთხელ კიდევ სცადონ შექმნან „ძლიერი და ავტორიტეტის მქონე“ მთავრობა.

ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ ეს ცდა წარმატებით დაგვირგვინდება. ბევრი დაბრკოლებები ელობება წინ რევოლიუციონური, ინტერნაციონალურ-დემოკრატიული და ერთფეროვანი მთავრობის შექმნას, თუმცა, მხოლოდ ასეთი მთავრობა შეიძლება ყოფილიყო „ძლიერი“, ავტორიტეტის მქონე და მკვიდრი.

ყოველგვარი მთავრობა, ყოველგვარი უფლებრივი წესრიგი ძლიერი და მკვიდრია იმდენათ, რამდენათაც ის შეესაბამება საზოგადოების ძალთა სოციალურ და პოლიტიკურ რეალურ დამოკიდებულებას.

და ამ გვარ აუცილებელ სოციალურ საფუძველს თავიდანვე და განსაკუთრებით ამ ჟამად მოკლებულია ამიერ-კავკავკასიის მთავრობა. და მოკლებულია იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიის მესამე ერში, სახელდობრ, მუსულმანებში, კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები სჭარბობენ.

თავიდანვე სომხის და ქართველ რევოლიუციონურ დემოკრატიას გზაზე გადუდგა მუსულმანთა მემამულეების კონტრ-რევოლიუციონური კლასი.

ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის ნაწილი, თავისი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული პირობების გამო დარჩა კონტრ-რევოლიუციონერის როლში და ამიერ-კავკასიის დემოკრატიის განთავისუფლების საქმეში ხელის შემშლელი.

ამაშია, უეჭველად, ძირითადი ბოროტება, ამაში უნდა ვეძიოთ ყოველგვარი მიზეზები. მაგრამ მუსულმან-ბეგების ელემენტები ამაში დამნაშავენი არიან იმდენათ, რამდენათაც ეს ელემენტები თავისი არსებით კონტრ-რევოლიუციონერები არიან.

მაგრამ, როგორც რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში, რევოლიუციის ჩაფუშვის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საშიშარ ელემენტებათ ითვლებიან ის რევოლიუციონური და დემოკრატიული წრეები, რომლებიც თავიანთ არა ჭეშმარიტი და მომთმენი პოლიტიკით ზიანს აყენებენ საერთო საქმეს. ამ ელემენტებს ისეთი დანაშაული მიუძღვით ასეთ მოქმედებაში, რომ თავის გასამართლებელი საბუთი არ შეიძლება გამონახონ.

ჩვენ, დაბოლოს უნდა აღვიაროთ და განვაცხადოთ აშკარათ და გარკვევით, რომ თუ რუსეთში რევოლიუციის წარმატების საქმეში უარყოფითი და საზარალო როლი შეასრულა ბოლშევიზმმა, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ამგვარივე უარყოფითი და რევოლიუციის წარმატებისათვის ხელშემშლელი როლი შეასრულა მენშევიზმმა.

კიდევ მეტს ვიტყვით. ჩვენში მენშევიზმმა, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ამა თუ იმ მოსაზრებით, ხელი შეუწყო კონტრ-რევოლიუციის განვითარებას.

მიუხედავათ „ინტერნაციონალური“ წარწერისა „რუსეთის (?!) მუშათა (!?) სოც.-დემოკრატიის“ მენშევიკური ფრაქცია თავისი შემადგენლობით, არსებით და მიმართულებით დამდგარი იყო ნაციონალური — ქართული ორიენტაციის გზაზე და ასეთ პოლიტიკას აწარმოებდა; ეს მენშევიკური ფრაქცია წავიდა ნაციონალური გზით. ამ პარტიამ, თავისივე ოფიციალური ორგანოს „ერთობის“ თქმით, ეყრდნობოდა რა ის „გლეხობას და წვრილ ბურჟუაზიას“ თავიდანვე ნაციონალურ—ქართულ პოლიტიკის სამსხვერპლოზე მიიტანა ინტერნაციონალური საერთო კავკასიის დემოკრატიის პოლიტიკა.

აი, ეს „მესამე ელემენტიი“ დამნაშავე იმაში, რომ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, თავიდანვე არა თუ მოეწყო ძლიერი რევოლიუციონური მთავრობა, არამედ—დაუბრკოლებლათ შეუძლებელი გახდა ცხოვრებაში სხვადასხვა და განსაკუთრებით საადგილ-მამულო და საერობო რეფორმების გატარება და არც რევოლიუციონური ტალღა მისწვდა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას.

და ქართველი მენშევიზმი, ანუ ქართველები მენშევიკები ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობის დღიდანვე დღემდე პირდაპირ ან ალმაცერად თურქ-თათრების მემამულეთა ხელის შემწყობ, დამხმარეთა როლში გამოდიოდენ. ამ მემამულეების გავლენას და ავტორიტეტს აძლიერებდენ.

აი ფაქტებიც: 1) იმათი ბლოკი ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე; 2) მათი ცდა, რომ ამიერ-კავკასია ხუთ საარჩევნო ოლქად გაეყოთ; 3) მათი ყოფა-ქცევა თფილისის ქალაქის საბჭოში; 4) მათი პოზიცია გადამიჯვნისა და ერობის საკითხებში და 5) მათი დამოკიდებულება ფრონტის დაცვისა და მობილიზაციის საქმეში და სხ. და სხვ.

არც ერთხელ და არსად მათ არ გამოუჩენიათ და გაუტარებიათ ინტერნაციონალური საერთო კავკასიური ხაზი. და ყოველთვის, როცა ისინი არ სცნობდენ სომხის რევოლიუციონურ პარტიას „დაშნაკცუტიუნს“ არა საკმარისათ სოციალისტურ და რევოლიუციონურ პარტიათ და აცხადებდენ რა ამ პარტიას დამრბევ („პოგრომულ“) და „კონტრ-რევოლიუციონურ“ პარტიათ, დემოკრატიული თვალსაზრისით ისინი სჩადიოდენ დანაშაულს, როცა პოლიტიკურად ანცალკევებდენ სომხის დემოკრატიას. მათ გათიშეს კავკასიის ორი რევოლიუციონური დემოკრატია.

აი, ასეთ არაჩვეულებრივ, უარყოფით და თავისებურ პირობებში და გარემოებაში ჩვენი მდგომარეობა შეიქნა ისეთი, რომ გამოსავალი გზა არ გვქონდა და ამის გამო ჩვენი როლიც სამძიმო გახდა.

ნაციონალური ქართული ორიენტაცია სოციალ-დემოკრატებისა და მუსულმანების კონტრ-რევოლიუცია ჩვენ, დაშნაკცაკანებს — სოციალისტებს, მეტად მძიმე პირობებში გვაყენებდა.

ჩვენი ცხოვრების ნაციონალურ-პოლიტიკური და სოციალურ-კლასობრივი პირობების წყალობით, რომელ ცხოვრებასაც უფრო გაუხრელი ინტერნაციონალური და საერთო რუსეთის რევოლიუციონურ-დემოკრატიული ტაქტიკა და ხაზი აქვს, ჩვენ წილად გვარგუნებდა „საწყალი მესამე—ელემენტის“ ერთგვარი დასაყრდნობი ბოძის ბედს. ეს მიეწერება ამიერ-კავკასიის სპეციფიურ პირობებს.

ემყარებოდენ რა უბედურ სინამდვილეზე, ქალაქის ბედზე და ჩვენი უმწეო ხალხის „სისხლის საკითხზე“ ანუ ბებელის სიტყვებით რომ გამოვთქვათ,—ჩვენს პროლეტარულ „პატრიოტიზმზე“, მენშევიკებმა შებოჭეს და გამოხრეს ჩვენი ნებისყოფა. ქართველი ნაციონალისტურათ განწყობილი, სოციალ-დემოკრატიის ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, „ნაციონალ-დემოკრატიის“ და მუსულმანთა შოვინისტური ფატალიზმის წინაშე ჩვენ, განცალკევებულებმა და დაუძლურებულებმა საზღვარი დავუდეთ ჩვენს არსებაში დაგროვილ რევოლიუციონურ ალს, ძალაუნებურათ დავადექით უფრო გონიერ და მომთმენ პოზიციას.

მოკლებული ვიყავით იმ შესაძლებლობას, რომ ფეხდაფეხ გავყოლოდით ქართულ სოციალ-დემოკრატიას და ამავე დროს უძლურნი ვიყავით მარტო გვევლო, ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვესრულებინა საბრალო როლი და მოვალეობანი „უბადრუკი მესამე ელემენტისა, სხვებისთვისაც ერთგვარ დასაყრდნობ საგანს წარმოვადგენდით.

შექმნილ პირობებში ჩვენი პოლიტიკა „ნაკლებ ბოროტებას“ წარმოადგენდა. მენშევიზმის წინაშე კი, რომელიც მოკლებული იყო ინტერნაციონალიზმის ტაქტიკას და იდეას, რომელიც იდგა ნაციონალიზმის და უილაჯო დემოკრატიზმის დაღმართზე ჩვენ ვიყავით მეტათ მშვიდნი, მომთმენნი და კეთილად მიდრეკილნი და ყოველთვის, როცა სერიოზული ნაბიჯის გადადგმა გვიხდებოდა და როცა ჩვენი რევოლიუციონური და აქტიური ნება აღსაფრენად იყო გამზადებული, გონიერება ყოველთვის საზღვარს უდებდა აღზნებულ ცეცხლსა და ტემპერამენტს, ვინაიდან ამას გვიკარნახებდა ჩვენი ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური ტრაგიკული პირობები.

და ჩვენ ვითმინეთ და გადავიტანეთ მენშევიკების და ბეგების დიქტატურა, წავედით რა ფაქტიურად თვალსაჩინო ტაქტიკურ დათმობებზე. არც შეგვეძლო აგრე არ მოვქცეულიყავით, ვინაიდან ძნელი იყო მარტოდ სიარული, ჩვენ სურვილი გვქონდა გვემუშავა სოლიდარულად და ერთად. სამწუხაროდ, კავკასიის დემოკრატია წარმოადგენდა „ოთხკუთხ ბორბალს“ და ატარებდა სამს უთანასწორო ფეხს და ამიტომ ჩვენი სიარულიც არ შეიძლება ყოფილიყო სწორი, პირდაპირი და უბორძიკო, გადაუხრელი.

და ვინაიდან ყველაზე უფრო გრძელ ფეხს ამ უმსგავსო სხეულისას ჩვენ წარმოვადგენდით, ყველაზე მეტი დაბრკოლებანი ამ მხრით გზაზე გვხვდებოდა ჩვენ და ზოგჯერ ჩვენზე თავდასხმასაც ჰქონდა ადგილი. და საშუალო ფეხი, რომელმაც კარგათ იცოდა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, მიგვათრევდა იმ მხარეზე, საითაც მას მოესურვებოდა. ჩვენ ეს ვითმინეთ და გადავიტანეთ. ჩვენ გავუძლეით ქართული „ნაციონალ-დემოკრატიის“ გეგემონიას ამიერ-კავკასიის პოლიტიკის მთელს ფრონტზე. ჩვენ აღვიარეთ მათ მიერ შექმნილი ამიერ-კავკასიის „კოალიციონური“ მთავრობა და უნებლიეთ, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, თითქოს ხელიც კი შევუწყვეთ კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებას.

ამაში უნდა გამოვტყდეთ...

მაგრამ რა შეგვეძლო ან რა შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთ გამონაკლის და ტრაგიკულ პირობებში, როცა ჩვენ ვდგევართ ჩვენი ძალების უფრო ძლიერი ძალების წინაშე. **ბოლშევიზმს ჩვენში არ ჰქონია არც საფუძველი და არც ნიადაგი, არც მიმდევრები მშრომელ მასსაში**, ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო მასზე დაყრდნობა და მისი პოლიტიკური გზით სიარული, **თუმცა ბევრათ უფრო სწორი ხაზის, ჭეშმარიტების და ინტერნაციონალიზმის მატარებელი კი იყო ბოლშევიზმი.**

და აი ჩვენთვის გამოუსადეგარმა საერთო პირობებმა მისცეს ტონი და მიმართულება ჩვენს სოციალურ პოლიტიკას და ბევრს შემთხვევაში შექმნეს ჩვენთვის არა ჭეშმარიტი და შეუფერებელი როლი და პოზიცია. ჩვენ ხშირად იძულებული ვიყავით საკუთარი თავისთვის გვეღალატა და უარგვეყო ჩვენი სოციალისტური და რევოლიუციონური გზა.

ამ გვარი იყო ჩვენი როლი და ჩვენი პოზიცია.

ახლა ქართველ „სოციალ-დემოკრატიასთან“ ერთად ჩვენ კვლავ ვცდილობთ შევქმნათ ძლიერი და საზოგადოების მიერ აღიარებული მთავრობა. მიუხედავათ ზემორე ჩამოთვლილისა ამ ჟამადაც ჩვენ მზათ ვართ დავადგეთ დათმობის გზას და **მთელი მორალური და რევოლიუციონური ძალა სომხის დემოკრატიისა** მათ განკარგულებაში გადავსცეთ, რათა განხორციელებულ იქნას აგრე მიუცილებელი **პოლიტიკური გაერთიანება კავკასიის ყველაზე უფრო რევოლიუციონური დემოკრატიისა.**

ამისთვის მოველით ჩვენ მათგან ურთიერთ და უეჭველ ნდობას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახლა მაინც, რევოლიუციის ამ კრიტიკულ მომენტში, როცა საფრთხეშია ჩვენი თავისუფლება და ჩვენი ფიზიკური არსებობა, ქართული „სოციალ-დემოკრატია“ დადგება ინტერნაციონალურ და საერთო სახელმწიფოებრივ თვალთახედვის წერტილზე და უკუაგდებს ანტი-სომხურს და მუსულმანურ პოლიტიკას და ჩვენთან ერთად შეეცდება ძლიერი მთავრობის შექმნას, რომელიც ასე აუცილებელი საჭიროა რევოლიუციის დასახსნელად და კავკასიის დემოკრატიისათვის.

სხვა გამოსავალი გზა არ არის.

ასეთი შეგნებით ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური როლი იმაში მდგომარეობდა და შემდეგშიაც ასევე იქნება, რომ მივისწრაფოდეთ კავკასიის ერებთან თანხმობით მუშაობისაკენ, რათა განმტკიცებულ იქნას რევოლიუციით მონაპოვარი დემოკრატიულ და ფედერატიულ რუსეთის რესპუბლიკაში.

საზავო მოლაპარაკების შეწყვეტა და ჯარების დემობილიზაცია რუსეთში

სამხედრო პოლიტიკურ ნაწილმა გამოაქვეყნა 1918 წ. 30 იანვარს 4 ს. 30 წ. მიღებული მთავარსარდლის შტაბის უფროსისაგან შემდეგი დეპეშა:

ამხანაგებო! საზავო მოლაპარაკება დასრულდა. გერმანელ კაპიტალისტებმა, ბანკირებმა და მემამულეებმა, რომლებსაც დუმილით ხელს უწყობდა ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზია, დაუყენეს ჩვენს ამხანაგებს, სამშვიდობო დელეგაციის წევრებს ბრესტში ისეთი პირობები, რომლის ქვეშ არ შეეძლია ხელი მოაწეროს რუსის დელეგაციამ. გერმანიის და ავსტრიის მთავრობებს სურთ მათ ხელში იყოს იარაღით-დაპყრობილი ადგილები. რუსეთის მუშების და გლეხების სახალხო მთავრობას არ შეუძლია ამაზე თავის თანხმობა მისცეს. ჩვენ არ შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ ისეთ ზავს, რომელსაც მოაქვს მწუხარება, გაჭირვება და ტანჯვა მილიონ მუშებისა და გლეხებისათვის, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია და არ გვსურს ვაწარმოოთ აღგრეთვე ომი, რომელიც დაიწყეს მეფეებმა და კაპიტალისტებმა. მეფეებსა და კაპიტალისტებთან შეთანხმებით, ჩვენ არ გვინდა და არც ვაწარმოებთ ომს გერმანიისა და ავსტრიის ჩვენ მსგავს მუშებსა და გლეხების წინააღმდეგ. ჩვენ არ ვაწერთ ხელს მემამულეებისა და კაპიტალისტების ზავს, დეე იცოდეს ახლა გერმანელ და ავსტრიელ ჯარისკაცებმა ვინ და რისთვის მიერეკება მათ საომრათ. დეე, იცოდენ მათ, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ ომზე უარს ვაცხადებთ, ამიტომ ჩვენმა დელეგაციამ რუსეთის ხალხისა და სხვა ქვეყნების დამონავებულ მუშებისა და გლეხების წინაშე თავის პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ამ წლის 28 იანვარს განაცხადა შემდეგი:

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობა ამით აუწყებს ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ და ნეიტრალურ ქვეყნების მთავრობებს, რომ იგი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ანექსიონისტურ ხელშეკრულებაზე. რუსეთი თავის მხრით აცხადებს, რომ ის სწყვეტს ომს გერმანიასთან, ავსტრო-უნგრეთთან და ბოლგარიასთან. ამავე დროს ყველა ფრონტებზე მდგომ ჯარებს ბრძანება ეძლევა სრული დემობილიზაციის შესახებ. ბრესტ-ლიტოვსკი. ხელს აწერენ რუსეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე საგარეო საქმეთა კომისარი **ტროცკი**, დელეგაციის წევრი **პიზრენკო**, **კარენი**, **თოფუე**, **პაკროვსკი**, უკრაინის ცენტრ. აღმ. კომ. წევრი **მედვედევი**, უკრაინის რესპუბლიკის სამხედრო კომისარი **მახრაი**, დელეგაციის მდივანი **ტარხანი**.

ამის გამო დაუყონებლივ უნდა გამოუცხადოთ ჯარებს, რომ გერმანიისა, ავსტრიასთან, ოსმალეთთან და ბოლგარეთთან ომი სამუდამოთ გათავდა.

არავითარ სამხედრო მოქმედებას ადგილი აღარ ექნება. ვაცხადებთ ყველა ფრონტებზე სრულ დემობილიზაციას. ფრონტის და ჯარების შტაბებს ევალებათ წინა ხაზებიდან წამოიყვანონ ჯარები და გააჩერონ რეზერვში, რომ შემდეგ თავთავიანთ ადგილებში გაგზანონ.

საზღვრის დასაცავათ გამოჰყავით უკანასკნელ წლების ჯარის კაცები.

ამხანაგო ჯარის კაცებო! ეცადეთ დაიცვათ წესიერება, რომ ყველა თავ თავის სახლში დაბრუნდეს ისე, რომ რკინის გზის მოძრაობა არ შეფერხდეს. ეცადეთ მიიტანოთ საწყობებში იარაღი, რომლებზედაც მილიარდებია დახარჯული. ჯერ გაიგზავნებიამ 1908 და 1909 წლის ჯარისკაცები და დანარჩენიც შემდეგ.

კრილენკო.

საზავო მოლაპარაკება

მიუხედავათ იმისა, რომ გერმანელებმა უარჰყვეს გაენთავისუფლებიათ კურლიანდია, პოლონეთი და ლიტვა, პეტროგრადის ბოლშევიკურ წრეებში მაინც არ აქვთ იმედი დაკარგული, რომ საზავო მოლაპარაკების საქმე ჩაფუშულია. ბოლშევიკები ამტკიცებენ, რომ გერმანიის მიერ წინადადების უარყოფა საბოლოვო არ არისო. ბრესტ-ლიტოვსკის დელეგაციის წევრი პეტროვსკი ამბობს: არა სასურველი გავლენა იქონია საზავო მოლაპარაკებაზე მოსულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ უკრაინის რადას და ბოლშევიკებს შორის უთანხმოებააო. ბრესტის დელეგაციის წევრების უმრავლესობის სულიერი განწყობილება პესიმისტურია. მათი აზრით გერმანელების წინადადებას ულტიმატუმის ხასიათი აქვს, უკეთუ შეკრული იქნება სეპარატიული ზავი. ამ წინადადების ზოგიერთი მუხლების შეცვლა შესაძლებელი გახდება მათი აზრით მხოლოდ მაშინ, თუ მოსახერხებელი დარჩა საერთო ზავის შეკვრა.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ბოლშევიკებმა საკითხი აღძრეს ზავის შესახებ მოლაპარაკება გადატანილ იქნას ბერნში (შვეიცარიაში), რადგანაც ნემცებმა უარი სთქვეს სტოკჰოლმში წასვლაზე. გრაფმა მირბახმა აუწყა ტროცკის, რომ სამხედრო ტყვეები გერმანიაში გავუთანასწორეთ სამოქალაქო ტყვეებს, და როგორც ასეთები, სამშობლოში გამოიგზავნებიანო.

პეტროგრადიდან სრულიად წასვლას აპირობენ საფრანგეთის და ინგლისის ელჩები. როგორც ამბობენ, მათი წასვლა რუსეთიდან იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ მათ უხერხულათ მიაჩნიათ იმ ქალაქში ყოფნა, სადაც მეომარი სახელმწიფოს წარმომადგენლები იმყოფებიან.

კავკასიის ფრონტი

27 და 28 იანვრის თარიღით მოსული ცნობებით კავკასიის ფრონტზე დროებით საზავო პირობების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

კავკასიის ჯარების მთავარ-სარდალმა აცნობა საარმიო ცენტრს, რომ ვინაიდან შეუძლებელი შეიქნა საჩქაროთ მოხალისეთა რაზმის შედგენა და მუდმივმა ჯარებმა კი მიატოვეს კალკიტი, ოსმალეთის ჯარების სარდალმა ვეხიბ-ფაშამ კალკიტში გამოგზავნა ოსმალთა რაზმი, რომელმაც ჩაიბარა ჩვენი საწყობები და ღვთის ანაბარათ მიტოვებული სხვადასხვა ქონებაო.

აჭარლების განთავისუფლება

ამიერ-კავკასიის კომისარიატთან არსებულ მცირე საბჭომ მოისმინა გრ. რცხილაძის მოხსენება ყარსის და ბათუმის ოლქებში მცხოვრებ აჭარლების, ლაზების და სხ. მუსულმანების შესახებ, რომლებსაც ნიკოლოზის მთავრობა ბრალს სდებდა სახელმწიფო ღალატში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 148 გასამართლებულ აჭარლების, ლაზების და სხ. მუსულმანების და 1917 წ. 16 ივნისის დროებითი მთავრობის მიერ განთავისუფლებულთა გარდა ქუთაისისა და ერევანის საოლქო სასამართლოებში მოიპოვება მთელი რიგი მზგავსი საქმეებისა. მცირე საბჭომ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა: შეჩერებულ იქნას სამუდამოთ სისხლის სამართლის საქმე ყარსის ოლქში მცხოვრებ აჭარლების, ლაზების და სხ. მუსულმანებისა, რომლებიც სისხლის სამართალში არიან, ან უნდა იქნან მიცემული 1917 წ. 16 ივნისამდე ჩადენილ მოქმედებით სახელმწიფო ღალატისათვის და დაუყოვნებლივ უნდა იქნას განთავისუფლებული ყველა ის, ვინც ამ ჟამადაც დატუსაღებულია.

ამიერ-კავ. სოც.-დემოკრ. მუშათა ორგანიზაციებს

დამფუძნებელი კრების გარეკით რუსეთის რევოლიუცია უდიდეს საფრთხეში ჩავარდა. ხალხი დამფუძნებელი კრებისაგან ელოდა მიწისა, ომისა და ზავის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას. ამ კითხვების კიდევ უფრო გადადება რევოლიუციის დასამარება იქნება. ამიტომაც იყო ამიერ-კავკასიისაგან დამფუძნებელ კრებაში არჩეულმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს 10 თებერვალს მოიწვიონ სეიმი საკანონმდებლო უფლებით და მას მიანდონ ყველა საჭირბოროტო კითხვების გადაჭრა და მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება.

რომ სეიმი დროზე იქნას მოწვეული, გადასწყდა სამჯერ გადიდებულ იქნას დეპუტატთა რიცხი, თანახმათ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს მიღებული ხმებისა: სეიმის დეპუტატების დასახელება არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს ენდობა.

ამ მიზნით 3 თებერვალს, **შაბათს, 12 საათზე, თფილისში** მოწვეულ იქნება საგანგებო პარტიული საოლქო ყრილობა.

განსახილველი საგნებია:

1) ამიერ-კავკასიის სეიმი და მისი დანიშნულება.

2) ზავის საკითხი.

3) სეიმის დამატებითი დეპუტატთა დასახელება.

ყოველი ხუთასი წევრი ირჩევს თითო დელეგატს, ხოლო ის ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას კომიტეტი, ერთს დელეგატს ირჩევს იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი ხუთასს არ აღწევს.

არჩევნების წესრიგს იმუშავებენ ადგილობრივი კომიტეტები. უკეთუ შეუძლებელი შეიქნა მოკლე დროს გამო დელეგატების ამორჩევა საზოგადო პარტიულ კრებებზე, დელეგატებს ასახელებს კომიტეტი კერძოთ ან რაიონულ კოლექტივებთან ერთათ.

საოლქო კომიტეტი.

ახალი ამბები

რევოლიუციონური რაზმის ჩამოსვლა. გუშინ საჩხერის და ხაშურ-სურამის რაიონებიდან თფილისში ჩამოვიდა რევოლიუციონური რაზმი წითელ-გვარდიელები, რიცხვით 1000 კაცამდე. სასახლეში რევოლიუციონურ რაზმს მიესალმენ: ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახელით ა. ი. ჩხენკელი, ს.-დემოკრატიულ პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. ს. ჯიბლაძე და თფილისის წითელ-გვარდიის სახელით ამხ. ვ. ჯუღელი. ამხ. ა. ჩხენკელი მოკლეთ ასურათებს, თუ როგორი აუტანელი პირობები შეიქნა დღეს, რომელიც განსაცდელში აყენებს რუსეთის რევოლიუციას და გამოსთქვამს რწმენას, რომ რევოლიუციის დასაცველათ მოწვეული შეიარაღებული ხალხის საუკეთესო შვილები პირნათლათ შეასრულებენ თავიანთ რევოლიუციონურ მოვალეობას. რაზმი ხანგრძლივი ოვაციებით ხვდება სოც.-დემ. პარტიის ერთ დამაარსებელთაგანს, მუშათა კლასის ჭაღარა ბელადს ამხ. სილიბისტრო ჯიბლაძეს. იგი მოაგონებს ამხანაგებს, თუ როგორ თავგანწირულათ იბრძოდა იმერეთის დემოკრატია 1905 წლის რევოლიუციის დროს და გამოსთქვამს იმედს, რომ იგი არც დღეს უღალატებს ამ ტრადიციებს და არ მოიხრის ქედს არავითარ საშიშროების წინაშე, რაც კი დიდებულ რევოლიუციას საფრთხეს უმზადებს. ამხ. ვ. ჯუღელი მოუწოდებს პროვინციელ ამხანაგებს იმოქმედონ თფილისის რევოლიუციონურ წითელ-გვარდიასთან ერთად. იგი ამბობს, რომ თუმცა ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგნი ვიყავით სისხლის ღვრის, მაგრამ დღეს ჭეშმარიტ რევოლიუციონერის ვალია არ დაიხიოს არაფრის წინაშე, თუ კი ამას რევოლიუციის კეთილდღეობა მოითხოვს. თავის მხრივ წითელ-გვარდიის წარმომადგენელი ამხ. ბ. გურული რაზმის სახელით აცხადებს, რომ დგება რა რაზმი რევოლიუციონურ ცენტრების განკარგულების ქვეშ, ფიცს სდებს, რომ იბრძოლებს რევოლიუციის დასაცავათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** 30 იანვარს დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა ქართულ უნივერსიტეტში. პირველი ლექცია წაიკითხა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიიდან. მეორე ლექცია—დოც. კეკელიძემ ღვთისმეტყველების ისტორიიდან. ლექციებს დაესწრო 400-მდე სტუდენტი და თავისუფალი მსმენელი.

◆ **ტყვე ოსმალების განთავისუფლება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატთან არსებულ მცირე საბჭომ დაადგინა: განთავისუფლებულ იქნან ამ ჟამათ ერზერუმის „გაუპტვახტში“, ბათუმში სამხედრო ტყვეთა ბარაკში, რიზეს, ერზინჯანის და ოსმალეთის შემოერთებულ ოლქების სხვა ქალაქებისა და ადგილების საეტაპო პუნქტებში დატყვევებული ოსმალეთის მცხოვრებნი, თუ ისინი არ ეკუთვნიან სამხედრო ტყვეთა და სამხედრო ვალდებულთა კატეგორიას და თუ მათ დღემდის არ ჩაუდენიათ სისხლის სამართლის დანაშაული.

◆ **ლტოლვილები.** კავკასიის „სოგორის“ სამხედრო ტყვეების დამხმარე განყოფილება რუსულ ნაციონალურ საბჭოსთან შეთანხმებით აწყობს ყარაიაზის რაიონის ლტოლვილთა ბავშვებისათვის დროებით გამოკვების საქმეს. გამოკვების საქმე 150 სულზე მოეწყობა.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი რუსულ ნაციონალურ საბჭოს დროებით ბიუროსთან შეთანხმებით წინადადებას აძლევს კავკასიის „სოგორს“, რათა მან იკისროს რუს ლტოლვილთათვის დახმარების მოწყობა.

◆ **ბონები.** სახელწიფო ბანკის თფილისის კანტორა ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა დროზე იქნეს გამოშვებული ბონები. ბონები დაიბეჭდება შტაბის სტამბაში, სადაც ამ მიზნით უკვე გაგზავნილია რამოდენიმე მოხელე-სპეციალისტები. ბონები გამოიცემა 50 მილ. მანეთის ღირებულების, დაახლოვებით 7—8 თებერვლისათვის. პირველათ გამოიცემა 100 მანეთის ღირებულების ბონები.

◆ მეორე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ხვალ, 2 თებერვალს, დილის 10 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (მიხეილის ქუჩა, № 91) შესდგება ამავე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: ამიერ კავკასიის სეიმი (მომხსენებელი ამხ. სმირნოვი), ზავის საკითხი (ამხ. მელ. რუსია), დამფუძნებელი კრების დამატებითი დეპუტატების შესახებ და დელეგატების არჩევნები პარტიულ ყრილობაზე.

◆ რედაქციამ მიიღო ი. მჭედლიშვილის ახალი თხზულება—სურათი „გიო“. წიგნი სუფთათაა გამოცემული და ღირს 50 კაპ.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლლექტივისა და კულტურულ-განმანათლებელ სექციის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათ., მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქუჩა № 3) დანიშნულია მეოთხე რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) სეიმი და მისი დანიშნულება; 2) ზავის საკითხი; ამ ორი კითხვის შესახებ მოწვეულია მომხსენებელი. 3) მოხდება არჩევნები ამიერ-კავკასიის სოც-დ. ყრილობის დელეგატებისა. 4) კოლექტივის წევრების დამატებითი არჩევნები და 5) მიმდინარე კითხვები. კრებაზე შესვლა მხოლოდ საწევრო ბარათებით შეიძლება.

— 2 თებერვალს, დილის 10 საათზე პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს განათლების სექციასთან არსებულ ქართული ენის და ლიტერატურის კომისიის სხდომა. ხსენებული კომისია იწვევს ქართული ენის და ლიტერატურის და აგრეთვე პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

— 2 თებერვალს, დილის 10 ს., 1-ლ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია მათემატიკის ქართველ მასწავლებელთა კრება.

— 1 თებერვალს, საღამოს 5 ს., სახალხო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია უნივერსიტეტის მსმენელთა საერთო კრება. ასარჩევია ლექტორთა საბჭოში გასაგზავნი დელეგატი.

— 1-ლ თებერვალს დილის 10 საათ. დანიშნულია საერთო კრება თფილისში მომუშავე მეპურეებისა.

— 1 თებერვალს დილის 10 ს. კავშირის ბინაზე (პეტრედიდის ქ., № 18) დანიშნულია უმუშევარ ფარმაცევტთა კრება.

— 1 თებერვალს ძველი სემინარიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა), საღამოს 9 საათზე დანიშნულია თფილისში მყოფ ქართველ ფარმაცევტთა საერთო კრება.

— დღეს ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-8 რაიონის კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— 2 თებერვალს, საღამოს 5 ს., ვერის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის შენობაში (არაგვის ქ.) დანიშნულია სოც.-დემოკრატ მასწავლებელთა კრება.

— დღეს საღამოს 5 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6-ე რაიონის კოლექტ. წევრთა მორიგი კრება.

პროვინციის ქრონიკა

სამურზაყანო. გალის ორგანიზაციაში შემოვიდა დამფუძნებელი კრების ფონდის გასაძლიერებლად ლეონინა ნაყოფიასაგან 8 მან.

ლანჩხუთში. კვირას, 4 თებერვალს დილის 10 საათზე მოხდება რაიონული მუშათა პროფესიონალურ კავშირის საერთო კრება, რომელზედაც გასარჩევი იქნება შემდეგი კითხვები: გამგეობის მოხსენება; ჩვენი მუშაობა დღევანდელ მომენტში; რაიონულ შრომის ბირჟის დაარსება; გამგეობის არჩევნები. ვთხოვთ ლანჩხუთის რაიონში მყოფ მუშათა პროფესიონალურ კავშირის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას და ისეთი ამხანაგები, რომელნიც დაქირავებული არიან და წევრათ არ არიან კავშირში აუცილებლათ გამოცხადდენ აღნიშნულ კრებაზე და ჩაეწერონ კავშირში.

ს. წიაღობანი. აქ არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ის ყოველის მხრით ისეთ უმწეო მდგომარეობაშია, რომ სულს ღაფავს. ფარღალალა კედლებში ქარი თავისუფლათ დანავარდობს და პატარა ბავშვები სიცივით იხოცებიან. არც მასწავლებელი ჰყავთ კარგი. ყველგან რაღაც კულტურულ მუშაობას ეწევიან და აქაურებმა მანც ყურები ვერ გამოიბერტყეს, რომ ერთათ ერთ სკოლას მოუარონ, შენობა შეაკეთონ და კარგი მასწავლებელიც დაიქირაონ, რასაკვირველია ჯამაგირით, თორემ როგორც ეხლაა ისე ახლოს არავინ გაეკარება.

ლანჩხუთი. 21 იანვარს რ. ს. დ. მ. პ. ლანჩხუთის ორგანიზაციის მეთაურობით გადაიხადეს პეტროგრადში ვერაგულათ მოკლულ ალექსანდრე ცინცაძის პატივსაცემლათ სამოქალაქო პანაშვიდი. ახლო მახლო სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოგროვდა. მრავალი სიტყვები წარმოსთქვეს.

ოზურგეთი. ოზურგეთში და ახლომახლო სოფლებში მყოფმა ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა გადასწყვიტეს არ შეადგინონ ცალკე კავშირი, შევიდენ არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში და მთელ ხალხთან ერთათ იბრძოლონ რევოლიუციის და თავისუფლების დასაცავათ.

ქუთაისის ამბები

26 იანვარს მოხდა ქალაქის საბჭოს კრება, რომელზედაც გაირჩა საკითხი სახალხო მილიციის შესახებ. ამის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა გეგელაშვილმა. გამგეობის დადგენილებით მილიციონერების რიცხვი უნდა გადიდდეს ორასამდის და ჯამაგირები 125 მანეთიდან გაუდიდდებათ 150 მანეთამდის. მილიციის უფროსს უნდა მოემატოს აგრეთვე 50 მ., რომელსაც თვიურათ უნდა მიეცეს 400 მან. სულ მილიციას წლის ბოლომდის სჭირდება ქალაქის გამგეობის გამონაგარიშებით 495,150 მ. საბჭომ ამის შესახებ იმსჯელა და დაადგინა: გადიდდეს მილიციელთა რიცხვი 200-მდის და თვიურათ მათ დაენიშნოთ 200 მან., გაუხდეს აგრეთვე მილიციის უფროსს ჯამაგირი თვიურათ 400 მ. კომისარებისა და მათი თანაშემწეების ჯამაგირების მომატების შესახებ საბჭოს მსჯელობა ექნება მომავალ სხდომაზე. („ს. რ.“)

— ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოებამ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში განცხადება შეიტანა, სადაც მოითხოვენ, რომ მილიციელთა რიცხვი გადიდებულ იქნას 500-მდე. ამათში 50 ცხენოსანი მილიციელი უნდა იქნეს, განცხადების მიხედვით ქვეითა მილიციელს თვეში უნდა მიეცეს 200 მანეთი, ცხენოსანს კი 300, მილიციის დასაკმაყოფილებელი ხარჯი უნდა გაწერილ იქნას მცხოვრებლებზე შემოსავლის კვალობაზე. მილიციელები უნდა მიღებულ იქმნან სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პარტიების თავდებობით და მილიციის უფროსის დასტურით. განცხადებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ გამოიცეს მოწოდება, რათა მილიციაში მოხალისეებიც ჩაეწერონ. ეს კითხვა ქალაქის საბჭოს მომავალ კრებაზე გაირჩევა. („ჩ. ქ.“).

— შრომის სამინისტროს რწმუნებული ქუთაისის გუბერნიაში გ. ფაღავა შემდეგს აცხადებს მუშათა ორგანიზაციების და მწარმოებელთა საყურადღებოთ: ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილებით მე დანიშნული ვარ შრომის სამინისტროს კომისარის რწმუნებულათ ქუთაისის გუბერნიაში. ამიტომ წინადადებას ვაძლევ მუშათა ყველა ორგანიზაციებს და მრეწველ-მწარმოებელთ შრომისა და კაპიტალის შორის ყოველგვარ კონფლიქტების შესახებ დაუყოვნებლივ მე მამცნონ. ამას გარდა, ვთხოვ ქუთაისის გუბერნიაში მომქმედ ყველა ორგანიზაციებს, პროფესიონალურ კავშირებს, შრომის ბირჟებს, საქარხნო კომიტეტებს და სხვ. მამცნონ მისამართი და აგრეთვე მოკლეთ აღნუსხონ, როგორც თვით ორგანიზაციების მდგომარეობა, ისე შრომის ადგილობრივი პირობები. (ს. დ.)

ჯარისკაცები სოფლად და ბოლშევიკები

ფრონტიდან სოფლად დაბრუნებულ ჯარისკაცებს „ბრძოლა“ (№ 24) ასეთ დარიგებას აძლევს:

„სალდათების საბჭოებმა დიადი რევოლიუციონური როლი ითამაშეს და დღესაც თამაშობენ მუდმივ ჯარში, მაგრამ როდესაც სალდათი სწყდება ამ ორგანოს და თავისუფალ მოქალაქეთ სოფელს უბრუნდება, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ სოფლათ დაარსდეს სალდათების საბჭოები, რომელსაც უკვე აღარ მოეპოვება თავისი სპეციფიური საქმეები. პაგონების აგლეჯით სალდათი სწყვეტს იმ უკანასკნელ ძაფს, რომელიც მას აკავშირებს მუდმივ ჯართან. რაღა საჭიროა სხვა ფორმით ამ კავშირის განახლება და უბრალო მოქალაქის ნაცვლათ სოფელში კვლავ რაღაც განსაკუთრებულ და განსხვავებულ სახით მოვლინება.

სალდათი, როგორც მოქალაქე, უნდა შეუერთდეს სოფელს და მთელი თავისი ცოდნით და გამოცდილებით საერთო ფერხულში ჩაებას. სოფლათ უნდა დაარსდეს მხოლოდ გლეხთა საბჭოები, სადაც ყოფილ სალდათს, როგორც უფრო მომზადებულს და მოწინავე ელემენტს, თავისთავად მიეცემა შესაფერი ადგილი.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ მავნებელი იყოს სალდათების მიერ ცალკე კრებების გამართვა. ასეთი კრებები საჭიროც არის და სასარგებლოც; როგორც საშუალება უფრო მოწინავე ელემენტების ერთმანეთთან დაახლოვებისა და საერთო ცხოვრებაზე მათი გავლენის მოპოვებისა. მაგრამ ამ კრებებს უნდა ქონდეს მხოლოდ დამხმარე საშუალების მნიშვნელობა და არ უნდა გადიქცნენ დამოუკიდებელ, ძალაუფლების მქონე ორგანოებათ. ასეთები უნდა იყოს მხოლოდ სოფლის გლეხთა საბჭოები.

ამ საბჭოებს უნდა დაეხმარონ სალდათები და მიიღონ შიგ მონაწილეობა. ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა. მათ უნდა შეუწყონ ხელი ღარიბი გლეხობის დარაზმვას და ამას მით უფრო ადვილათ შესძლებენ, რომ თვით სალდათები გლეხებია. მდიდრები ადვილათ ახერხებდენ სალდათობიდათ თავის დაძვრენას.

სოფლათ ახლა დიდი ნიადაგია სამუშავოთ. დაბრუნებული სალდათი მთელი ძალ-ღონით უნდა შეუდგეს სოფელში რევოლიუციონური შეგნების შეტანას, დარაზმოს მშრომელი ხალხი, მისცეს მოძრაობას მწყობრი ხასიათი და მით მოიხადოს თავისი რევოლიციონური ვალი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთი სწორი აზრი ვიპოვეთ „ბრძოლაში“, მაგრამ რამდენათ სწორია ამ ამონაწერის ერთი ნაწილი, იმდენათ ის ყალბდება, როცა გაზეთი შეგნებულის და მომზადებულის მოწმობას აძლევს ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის კაცებს განურჩევლათ.

ჯარისკაცების სოფლის სხვა მუშებისაგან გამოყოფვა, თუ გინდ ეს გამოყოფვა ცალკე კრებების მოხდენის სახით მოხდეს, როგორც შეგნებული პირებისა, გლეხთა საბჭოებს დამხმარის როლს არ შეუსრულებს, ხელის შემშლელის როლს კი.

ნუ თუ სოფელში აღარ მოიპოვება ისეთი ღარიბ-ღატაკი ხალხი, რომლებიც ბრძოლის ველზე არ ყოფილან, მაგრამ რომლებთანაც ერთად მუშაობის წარმოება, ერთად კრებების მოხდენა შესაძლებელია?

„ბრძოლა“, ალბათ, ვერ ღალატობს თავის ბუნებას და სადღეგრძელოთი დაწყებულ წერილს შესანდობარით ათავებს.

ჩემს ჩანგს

დღეს ჩვენი დღეა, ჩემო ჩანგო, დღეს ჩვენი დღეა
და ჩვენც გვმართებს გადვიხადოთ დიდი დღეობა:
მოვიხმოთ მუზა, ქოხის კარი დავტოვოთ ღია,
დე სხვებმაც ნახოს ჩვენი ლხინი, ჩვენი ღრეობა.
დავსხდეთ და ლხინში მოვიგონოთ ჩვენი წარსული,
თუ რა გადაგვხდა, რა შეგვემთხვა ეკლიან გზაზე
და სათითაოთ ჩამოვთვალოთ ნასმენ-ნახული,
წამების ჯვარი როს მიგვქონდა იქ, გოლგოთაზე!

ოცი წელია, რაც ამ გზაზე დავიარებით,
ოცი წელია, რაც რომ ვებრძვით უკულმართობას:
აივსო გული შხამ-ნაღველით და იარებით,
მაგრამ ჩვენ მაინც იგი გვიყვარს, არ ვუთვლით გმობას.
ნურც ვუღალატებთ, ისევ ისე ვიაროთ მაზე,
რაკი ერთხელვე ავირჩიეთ მეზარეობა,
ვრეკოთ და ვრეკოთ, რომ მის ძლიერ გუგუნის ხმაზე
აღსდგეს ქალაქი, აღსდგეს დაბა, აღსდგეს ხეობა!

ჰო, მართალია ბევრჯერ ვნახეთ შემოღამება,
მაგრამ ვიხილეთ განთიადიც ვარდისფერ ფრთებით,
როს ალმაფრენას დაემონა სულის წამება,
აზვირთდა ხალხი და მტარვალებს ეკვეთა გზნებით.
ამან აანთო ამ ჩვენ გულში რწმენის ლამპარი,
ამან აღზარდა ამ ჩვენ სულში უდრეკი ნება...
დე სხვებს ეგონოს ჩვენი მრწამსი მხოლოდ ზღაპარი,
ოღონდ ჩვენ გვრწამდეს ახალ აღთქმის ახალი მცნება!

ვ. რუხაძე.

მუშათა წერილები

სოფლის ვითარება.

არ მგონია სადმე კიდევ იყოს ასეთი ჩამორჩენილი სოფელი, როგორც არის სოფ. ქვაჟუდე (გურია). ვერც ერთ კუთხეში ასე ჩამორჩენილ სოფელს ვერ შეხვდებით, აქ არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულებები, არ არის ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ედგენ საქმეს.

დღითი-დღე მრავლდება მოსულ ჯარისკაცების რიცხვი, რომლებიც, ვინ მოსთვლის რაებს არ სჩადიან. მათ წინაამდეგ არავინ ზომებს არ იღებს, და ამიტომ იმათი თარეშიც დღითი-დღე მატულობს. აქაური ორგანიზაცია ვერაფერს უბედავს მათ და ვერც შეკითხვას ბედავს, რომ გაიგონ თუ რა უფლებით არიან მოსულნი და ან თოფის ტარების ნება ვინ მისცა მათ. ბევრ ისეთ ჯარისკაცებს შეხვდებით, რომლებიც თამამად შეგძახებს,—არავის ნება არ აქვს ჩვენ შეგვაწუხონ, რადგანაც ბრძოლის ველზე ვართ ნამყოფიო.

აბა, ვინ რას გაბედავს მათ წინააღმდეგ, როდესაც ისინი ხიშტებით იმუქრებიან.

დღე და ღამ განუწყვეტელი სროლაა. მცხოვრებლები შიშისაგან გარეთ ვერ გამოდიან. ერთი სიტყვით, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული პირდაპირ უბედურება დატრიალდება. ჩვენი სოფლის მაგალითი აქ იმიტომ მომყავს, რომ საერთოდ გურიაში ასეთი მდგომარეობაა ყველგან.

აქაური ხალხი ჟურნალ-გაზეთებით ვერ სარგებლობს, თუმცა ეს სოფელი სულ რაღაც 9 ვერსით არის მოშორებული სად. საჯევახოდან. არავინ იცის, თუ რა ხდება ქვეყანაზე.

სამკითხველოს გასახსნელათ ფული მოუგროვავთ, მაგრამ აგერ ექვსი თვეა არაფერი სჩანს.

ხალხი არ მეცადინეობს რაიმე ნიადაგი მოუმზადონ უკეთეს ცხოვრებას და გაიუმჯობესონ საარსებო პირობები. გზების შეკეთების შესახებ ხომ არავინ არ ზრუნავს. სოფლად გავლა შეუძლებელია. სოფლის ახალგაზრდობა „ჯიბის პარტიას“ მიმხრობია და ერთი მეორეს ეჯიბრებიან სროლასა და ძარცვაგლეჯაში. ჩაწერილან ქართველთა პოლკში და დროებას ატარებენ სახლში და ვითომც ქვეყნის ამშენებლები იყვენ, ისე იმაღლებიან.

პოზიციაზე ყოფნის დროს ბოლშევიკებს, ანუ „სახლში წასვლის პარტიას“ ემსახურებოდენ და დღეს კი „ბოლშევიკ ჯიბის პარტიის“ პროგრამას ადგანან.

არ ვიცი რით შეიძლება მოეღოს ბოლო ამ უბედურებას.

მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ თუ არ იქნა ზომები მიღებული „ბოლშევიკ ჯიბის პარტიის“ წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, როგორც „ბოლშევიკ სახლში წასვლის პარტია“ გადაიქცა „ბოლშევიკ ჯიბის პარტიათ“, ისე გადაიქცევა „ბოლშევიკ-ანარქისტების“ პარტიათ და კიდევაც „დაიმყარებენ“ ანარქისტულ სოციალიზმს.

აღსანიშნავია ის, თუ როგორ უცქერიან სოფელში ჯარისკაც-ბოლშევიკებს.

მიხვალ ვინმესთან ჯარისკაცი თუ არა, მაშინვე დიდი მორიდებით მიგიღებენ და დაგიწყებენ ლაპარაკს ახალი წესწყობილების შესახებ. მერე დიდი მორიდებით შეგეკითხებიან: თქვენ რომელ პარტიას ემსახურებითო. პასუხათ თუ გაიგონეს „ბოლშევიკების მუშათა პარტიასო“,—ქალი გინდ კაცი მაშინვე დიდი სიფრთხილით დაგიწყებს ლაპარაკს.

რატომ ეშინიათ ასე ბოლშევიკების? იმიტომ კი არა, რომ არ იციან იდეიური ბოლშევიკები და ან ვერ იცნობენ იმათ პარტიას, არამედ იმიტომ, რომ ყველა ჯარისკაცები, რომლებიც ბოლშევიკებს ირქმევენ სახელათ, ემსახურებიან ანარქისტებს, მათი მიზანია ძარცვა-გლეჯა. აი ამიტომ ეშინიათ მათი.

მე თავიდანვე ვამბობდი, რომ შეგნებულ ბოლშევიკებს მეც წინააღმდეგი არ გავუხდები და კიდევაც მსურველი ვარ, რომ გაფართოვდეს სოციალდემოკრატიული პარტია: ჩემთვის განურჩეველია ბოლშევიკ-მენშევიკები, მაგრამ „ბოლშევიკ-ჯიბისტების პარტიას“ კი ვერ მივემხრობი და იდეური ბოლშევიკებიც უნდა იყონ მათი წინააღმდეგნი.

ცრემლი მომადგება თვალზე, როდესაც მოვიგონებ პირველ რევოლიუციის დღეებს, როცა ყველანი შეერთებულათ იძახდენ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“.

დღეს დიდი სამწუხაროა ამ ორ ფრაქციის გაყოფვა, როდესაც მათი პროგრამა და ლოზუნგი უწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს შეერთებისაკენ. დეე, მოეღოს ბოლო ასეთ წუთებს, დეე, დადგეს დრო შეერთების!

დეე დავძახოთ ყველამ ერთათ: ძირს „ჯიბისტები“, ძირს კონტრ-რევოლიუციონერები!!

ძირს ის ნაძირალები, რომლებიც თავის თავს სოც.-დემოკრატ ბოლშევიკებათ თვლიან და ემსახურებიან კი ანარქისტებს!

მუშების დღევანდელი ლოზუნგია: შეერთება, შეერთება და შეერთება!..

დეე, ყველამ ერთხმათ დავსძახოთ:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!!“

საწყალი მუშა.

რა ხდება ციმბირში?

როგორც ფედერატიულ რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში, ციმბირშიაც იჩინა თავი ანარქიამ, ერთა შორის ბრძოლამ, ეკონომიურმა არევ-დარევამ და სხვა.

ციმბირი დიდი ხანია ოცნებობდა მთელი მხრის ცხოვრება ავტონომიურ ნიადაგზე მოეწყო. რევოლიუციამ ამ მხრით ფართე გზა გაუხსნა მას, მაგრამ საერთო არეულობას ის მაინც ვერ ასცდა.

საოლქო საბჭო უძლური გამოდგა წინააღმდეგობა გაეწია ბოლშევიკების კომისარების დამღუპველ მოქმედებისთვის. მათ ხელში ჩაიგდეს ციმბირის რამდენიმე მსხვილი ქალაქი, როგორც მაგალითად, ირკუტსკი და კრასნოიარსკი.

ციმბირის საოლქო საბჭო შესდგება კომისარიატებისაგან, რომლებიც კერძო სამინისტროებს ეთანაბრება—სამხედრო, საფინანსო, გზათა, ფოსტა-ტელეგრაფის, შრომის, პროვნებათა და სხვა.

ციმბირის საფინანსო პოლიტიკა დამყარებულია სახემისო ბანკზე და ოქროს მადნების წარმოების, რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა შემოსავალზე.

რუსეთი, როგორც ბაზარი, ციმბირისთვის დიდი ხნით დახურულია.

რომ ეს მდიდარი ქვეყანა ეკონომიურ ჩიხიდან გამოვიდეს, ერთათ ერთი გზა დარჩენია—ხელშეკრულობა დასდოს იაპონიასა და ამერიკასთან, რომ ფულით და საქონლით უზრუნველყოს ის.

ამ მხრით ციმბირის საოლქო საბჭომ უკვე ნაბიჯი გადასდგა და, ეჭვს გარეშეა, იაპონია და ამერიკა მხარს დაუჭერს მას, რადგან საოლქო საბჭოს სცნობენ ძალა უფლების მექონე ქვეყნის მმართველ მთავრობათ.

მარტის დასაწყისს მოიწვევენ ციმბირის დამფუძნებელ კრებას, რომელიც გადასწყვეტს ციმბირის ბედს. ამ კრების მოწვევამდე მთავრობა საოლქო საბჭოს ხელში იქნება.

ციმბირის მთავრობაში შედიან: თავმჯდომარე გ. ნ. პოტაპინი, მინისტრებათ: ვ. კოლოსოვი, გ. პატუშინსკი, ნოვოსელოვი, გენერალი კრაკოვეცკი, ტონიშბაევი, ბუკეიხანოვი, დერბერი, ზახაროვი და სხვა. სულ 18 კაცი. ამათში გარდა ბოლშევიკებისა ყველა პარტიების ეროვნებათა წარმომადგენელნი არიან. („რესპ.“)

რუსეთის ამბები

შინგარევის და კოკოშკინის მკვლელები. საგამომძიებლო კომისიამ გამოარკვია, რომ საავათმყოფოში მეზღვაურები მიიყვანა ჯარისკაცმა ბასოვმა, რომელიც შინგარევის და კოკოშკინის პეტრე-პავლეს ციხიდან გადმოყვანის დროს ახლდა. ბასოვს ლამპა ეჭირა ხელში მკვლელობის დროს და უნათებდა. ბასოვის გარდა დაიჭირეს წითელ-გვარდიელი კულიკოვი და კიდევ ათი სხვა. პირდაპირი მკვლელი იყო ორი მეზღვაური, რომლებიც შევიდენ თუ არა შინგარევის ოთახში, ერთმა ლანძღვა დაუწყო შინგარევს, მივარდა და ყელში ხელი დაუჭირა, მეორემ ამ დროს სროლა დაუწყო. მოკლეს თუ არა შინგარევი, ორივე კოკოშკინთან შეიჭრა და ისიც იქვე მოჰკლეს.

ბოლშევიკების დეკრეტი. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დეკრეტი გამოსცა, რომლის ძალითაც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საგუბერნიო საბჭოს უფლება ეძლევა უკან გაიწვიოს დამფუძნებელ კრების ის წევრნი, რომელნიც მათი ინტერესების სრული გამომხატველნი არ იქნებიან. სრულიად რუსეთის გლეხთა მეორე ყრილობაზე შეიმუშავეს საგანგებო ინსტრუქცია დამფუძნებელ კრების იმ დეპუტატების დაუყოვნებლივ უკან გაწვევაზე, რომელნიც ებრძვიან საბჭოების მთავრობას. ნაკაზში შემდეგი მუხლები არის: იმ გუბერნიებში, სადაც დამფუძნებელ კრების წევრებათ გავიდენ მემარჯვენე ს.-რევოლიუციონერები და კიდევ უფრო მემარჯვენე პარტიების კანდიდატები, რომლებიც საბჭოების მთავრობის წინააღმდეგ მიდიან, საგუბერნიო საბჭოებს უფლება აქვთ უკან გაიწვიონ და ხელ-ახალი არჩევნები მოახდინონ.

მეთორმეტე არმიამ უკვე გაიწვია ავქსენტიევი, ლიხაჩოვი, გოცი, კოლესოვი და საზოგადოთ ყველა მემარჯვენე სოც.-რევოლიუციონერები.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს გუბერნიის ყრილობებს მოახდინონ დამფუძნებელ კრების ხელ-ახალი არჩევნები, რადგან ეს იქნება საუკეთესო საშვალება ებრძოლონ იმ პარტიებს და ჯგუფებს, რომელნიც დამფუძნებელ კრებაში მიდიან მხოლოდ საბჭოების მთავრობასთან საბრძოლველათ.

დეკრეტი მემკვიდრეობის შესახებ. ერთათ ერთ სიუხვეს ბოლშევიკები დეკრეტების გამოცემაში იჩენენ. სამი თვეა რაც იგინი გაბატონდენ რუსეთში და ამ ხნის განმავლობაში აუარებელი დეკრეტები გამოსცეს. სხვა დეკრეტებთან ერთათ ეხლა გამოსცეს მემკვიდრეობის შესახებ დეკრეტი, რომლითაც მემკვიდრეობა სრულიად ისპობა. მოძრავ თუ უძრავ ქონების პატრონის სიკვდილის შემდეგ მის დატოვებულ ქონებას მისი მემკვიდრეები ხელს ვერ ახლებენ, ის სავსებით გადადის სახელმწიფოს სამზრუნველო ფონდის განკარგულებაში.

შიმშილობა მოსკოვში. შიმშილობა კარზე ადგია მოსკოვს. პური არ არის და მცხოვრებნი მხოლოდ ერთ მერვედ გირვანქას ღებულობენ თითო სულზე. ზოგიერთი ჯარისკაცები საზღაპრო სპეკულიაციას ეწევიან, ფუთ ფქვილს 130 მანეთად ჰყიდიან, ერთ გირვანქა გამომცხვარ პურს 3—5 მანეთად: უკანასკნელ დღეებში წითელ გვარდიელები ართმევენ ჯარისკაცებს ჩამოტანილ სანოვაგეს, რაც ხშირათ მათ შორის შეტაკებას იწვევს.

თიანეთის მაზრაში

20 იანვარს მოხდა თიანეთის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტების წევრთა მორიგი ყრილობა ამხ. ს. ლაცაბიძის თავმჯდომარეობით. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) შინაურ და გარეშე საფრთხისაგან თავის დაცვა; 2) ხალხის შეიარაღება; 3) ზოგიერთ რაიონების კომისართა მოქმედება; 4) მაზრის მილიცია; 5) წითელი გვარდია და სახალხო მილიცია; 6) თიანეთის სამაზრო სასურსათო გამგეობის მდგომარეობა; 7) თელავ-თიანეთს შორის მიმოსვლა და ახმეტის ფოსტის უფროსის მოქმედებაზე კონტროლის დაწესება; 8) საადგილ-მამულო კომიტეტები; 9) ტყეების გაჩეხვა; 10) სიმთვრალის წინააღმდეგ ზომების მიღება; 11) მამულის საშოვნელათ ჩამოსულ ხევსურების საქმე; 12) ახალ მთავრობის მოხელეთათვის ჯამაგირების მომატება; 13) მაზრაში ექიმ-ფერშლების მოწვევა; 14) სამხედრო საკრებულოში წარმომადგენლების დანიშვნა; და 15) სხვა მიმდინარე კითხვები.

თავდაცვის შესახებ მოხსენება გააკეთა თავმ., რომელიც სხვათა შორის შეეხო სოფელში დაბრუნებულ ჯარისკაცთა უწესო ქცევას. ამ საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად თვით სოფლელებმა უნდა აღმოაჩინონ არა საიმედო პირები, ამათ უნდა ჩამოერთვას იარაღი ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის შეთანხმებით. ეს იარაღი უნდა გადაეცეს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. რაც შეეხება შეიარაღების საკითხს, ყრილობამ მიანდო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს გამოარკვიოს მაზრის მცხოვრებთა რიცხვი და ამის მიხედვით იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს იარაღის შეძენის შესახებ. მაზრის კომისარს დაევალა იშუამდგომლოს რომ თიანეთის მაზრას მიეცეს აგრეთვე 4 ტყვიის მფრქვეველი, ვინაიდან თიანეთის მაზრაში არ დგას არც ერთი ჯარის ნაწილი.

რაიონის კომისრების მიერ აღძრულ საკითხების გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთები არ ასრულებენ თავის მოვალეობას პირნათლათ. ამიტომ მიენდო პრეზიდიუმს განიხილოს ყველა მათი მოქმედება დაწვრილებით და შესაფერი მსჯავრი დასდოს მათ. გამოირკვა აგრეთვე, რომ ვერც ზოგიერთ რაიონების მილიციონერები ასრულებენ პირნათლათ დაკისრებულ მოვალეობას.

მაზრის მილიციის უფროსს დაევალა სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, ხშირათ შემოიაროს მთელი მაზრა და ავარჯიშოს მილიციონერები. მილიციონერების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა დაევალა მაზრის კომისარს. მასვე დაევალა წითელი გვარდიისა და სახალხო მილიციის მოწყობის საქმის გამორკვევა.

ვრცელი მოხსენება გააკეთა სამაზრო სასურსათო კომიტეტის წევრმა ვ. ჩოხელაშვილმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სასურსათო კომიტეტი მალე გაუქმდება, ვინაიდან წევრები სხვაგან წავიდ-წამოვიდენ. ეს კი, ისედაც დამშეულ ხალხს, უფრო გაჭირვებაში ჩააგდებს. ყრილობამ დაადგინა მისცეს წინადადება სასურსათო კომიტეტის წევრებსა და თავმჯდომარეს დაუბრუნდენ თავის თანამდებობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეთხოვოს საგუბერნიო სასურსათო გამგეობას დანიშნოს რწმუნებული, რომელიც მოაწესრიგებს თიანეთის მაზრაში სასურსათო საქმეს.

თელავ-თიანეთის ფოსტის ტრაქტის მოწესრიგება დაავალა ნ. ნადიბაიძეს. გამოირკვა, რომ თიანეთის საადგილ-მამულო კომიტეტის წევრები გულცივათ ეკიდებიან საქმეს. ამიტომ აღმასრულებელ კომიტეტმა აირჩია თავისი 2 წევრი, ა. შუშანაშვილი და ნ. ქუმსიაშვილი, კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ. საადგილ-მამულო კომიტეტმა უნდა იკისროს აგრეთვე ტყის მოვლა და პატრონობა, რადგანაც ყრილობამ დაადგინა დაითხოვოს გამგე აბაზაძე და მცველები. ლოთობასთან საბრძოლველათ ყრილობამ დაადგინა, მთვრალი პირები დაპატიმრებულ იქნან გამოფხიზლებამდე; ღვინის გამყიდველი კი ან ორი კვირით უნდა დაპატიმრონ, ან 20 თუმნით დაჯარიმონ. თუ მან კიდევ განიმეორა დანაშაული ერთი თვით დაპატიმრება, ან 40 თუმნით დაჯარიმება უნდა მიუსაჯონ და დუქანი სამუდამო დაუკეტონ.

მამულის შესაძენათ ჩამოსულ ხევსურების საქმის გამორკვევა მიენდო თიანეთის სადგილმამულო კომიტეტს.

მაზრაში გავრცელებულია სხვადასხვა გადამდები სენი. ამიტომ ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს საგუბერნიო საექიმო განყოფილებას გამოგზავნონ საკმაო რიცხვი ფერშლებისა და ექიმების. თიანეთის სამხედრო საკრებულოს ჯარისკაცთა შემმოწმებელ კომისიის წევრებათ აირჩიეს ნ. სისაური, ნ. კუმსიაშვილი და გ. დავითაშვილი. დასასრულ ყრილობამ ნდობა გამოუცხადა ამიერ-კავკასიის კომისარიატს და აღუთქვა მას ყოველ გვარი დახმარება.

ო. მაშოშვილი

ქალაქის სკოლები

აგერ წელიწადი სრულდება, რაც ძველი მთავრობა ისტორიას ჩაბარდა. ამ დროს განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მხოლოდ სწავლა აღზრდის საქმეში არაფერი შეცვლილა. ერთის მხრით ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც არ არსებობდა არავითარი ორგანიზაცია, რომელსაც უნდა მოეწყო სკოლა ახალ ნიადაგზე. ქალაქების თვითმართველობების დემოკრატიულად მოწყობის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სკოლებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდა, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი სჩანს.

თფილისის ქალაქის თვითმართველობამ ამ ხრივ ორი დიდი საყურადღებო ნაბიჯი გადადგა: მან ჩაიბარა თბილისში ყველა არსებული სამინისტრო და სამრევლო სკოლები, გარდა სომხების საეკლესიო სკოლებისა. ეს უკანასკნელი სომხის კლერიკალებმა შეინარჩუნეს, რაც არა სასურველად უნდა ჩაითვალოს. მეორე ღირს-შესანიშნავი ნაბიჯი სამღვთო სჯულის გაუქმებაა ქალაქის სკოლებში. სამღვთო სჯული მთელი საუკუნოების განმავლობაში მაჯლაჯუნასავით თავს აწვა სკოლას და სინათლეს არ უშვებდა. ეხლა ეს სულთამხუთავი მოშორდა ქალაქის სკოლებს. საჭიროა სამღვთო სჯული გამოირიცხოს სხვა სასწავლებლების პროგრამებიდგანაც.

რაც შეეხება სკოლის სხვა მხარეებს, როგორც სწავლა აღზრდის, ადმინისტრატიულ და სხვას, აქ არაფერი შეცვლილა. აქ უნდა აღინიშნოს ქალაქის სკოლების მუშაობა ამ ხრით: რევოლიუციის პირველ დღიდანვე მასწავლებლები სისტემატიურად იკრიბებიან და ასე თუ ისე აშუქებენ სკოლის მიმდინარე საკითხებს. მათ შექმნეს სარეორგანიზაციო და საპროგრამო კომისიები. შეიმუშავეს

სკოლის რეორგანიზაციის გეგმა, იმუშავებენ პროგრამას. ყველა ეს ხდება დამოუკიდებლად და უწესრიგოდ. ზოგჯერ სასკოლო კომისიამ არც კი იცის მასწავლებელთა ამ ხრივ მუშაობა და ყველა სასწავლებელი თავისი სურვილისამებრ აწარმოებს საქმეს. ამ ბოლო დროს მასწავლებლები გეგმონიაზედაც ალაპარაკდენ და ითხოვენ სრულ ავტონომიას. მასწავლებლებს და გამგეებს, ხომ ფაქტიურად ისინი ირჩევენ. ეხლა სასკოლო ინსტრუქტორების არჩევაც კი მოინდომეს. ამისთვის დაიყვეს სექციებად და აირჩიეს რამდენიმე კანდიდატი და ითხოვენ მათ დამტკიცებას. საინტერესოა აქ რუსული სექციის დადგენილება. ამ სექციამ აირჩია ინსტრუქტორად ბ. პაგარელოვი, რომელიც რევოლ. პირველსავე დღეს მასწავლებელთა ყრილობამ დაითხოვა, მაგრამ შემდეგ, რაღაც მანქანებით, რუს მასწავლებლებმა ისევ ინსპექტორად წამოსაკუპეს. ეხლა რუსულ სექციას აურჩევია ბ. პაგარელოვი ინსტრუქტორად და თან დაუდგენია ყოველ-ღონისძიებით ეცადოს მისი დამტკიცებას.

საჭიროა ასეთ არევდარევას ბოლო მოეღოს და მასწავლებლობას განემარტოს, რომ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა არჩევა და სხვა ასეთი მისი საქმე არ არის, რომ სკოლების ერთად ერთი ბატონ-პატრონია ქალაქის თვითმართველობა.

პ. ს—შვილი.

ნაციონალ-დემოკრატების საქმიანობა პროვინციაში

(წერილი თელავიდან.)

ყველასათვის ცნობილია, რომ თელავი თავად-აზნაურობის ბუდეა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნაციონალ-დემოკრატებმა აქ ცოტა არ იყოს ფეხი მოიკიდეს. თუ ერთ ქუჩაში მუშათა სადგომში თავს იყრის მუშათა და სალდათთა საბჭო და სჭედავს მშრომელი ხალხის ბედს და დარაჯათ უდგა რევოლიუციას, სამაგიეროთ, იქვე ახლო არსებობს ნაციონალ-დემოკრატების ბიურო, სადაც თავს იყრის რევოლიუციისაგან დატუქსული თავად აზნაურობა, სამღვდელოება და მათი „ბარიშნები". აქვე ნახავთ ბურჟუაზიის ქურქში გახვეულ ინტელიგენტებს. ამათ ქარხანაში მზადდება კონტრ-რევოლიუციონური საქმეები. არც ერთ შემთხვევას არ უშვებენ, რომ თავიანთ შავი საქმეების საკეთებლად არ გამოიყენონ. მაგალითად, ამას წინათ დაიწყეს რაზმის შედგენა სრულიად მუშათა და სალდათთა და რევოლიუციონურ ორგანიზაციების გარეშე, სწერდენ მეტად საეჭვო პირებს და ჰპირდებოდნენ თვეში 250—270 მანეთს, კარგ ცხენს და იარაღს. ეწერებოდენ შეუგნებელი გლეხებიც. როცა მოსთხოვეს საბუთი მათ ხელმძღვანელებს, თუ ვისი დავალებით ან ვისთვის ადგენთ რაზმსაო, მათ შესაფერი პასუხი ვერ გასცეს. შემდეგ ეს ბურჟუაზიისგან შემდგარი რაზმი დაშლილ იქნა მუშათა და სალდათთა საბჭოს ენერგიული ზომების მიღებით. შემდეგ კერძო საკუთრების მოტრფიალეებმა თავიანთ საქმიანობა გადაიტანეს ქართულ პოლკში. ეწერებიან ყველა სტუდენტიდან მოყოლებული მათ უფლება აყრილ წევრებამდინ. აქაც მოინდომეს თავიანთ ბურჟუაზიის სულის შეტანა და თავიანთ შოვინისტური აზროვნების გასაღებას ზოგიერთ ახალგაზრდა გლეხებში, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა მათ. ისინი მაინც ფარ-ხმალს არ ჰყრიან: მოუწოდებენ მცირე წლოვან მოწაფეებს ქართველ პოლკში ჩასაწერათ, ეს მცირე წლოვანი ბავშვები, სამწუხაროთ, მათი პატრიოტული აგიტაციით არიან დაშხამულები და ესენიც ხსნას ამათში ხედავენ. ნ. დ. ექიმი კლიმიაშვილმა, რომელიც მეთაურობს ამ საქმეს, აიყოლია ბავშვები და თავს ანებებენ სწავლას. მშობლების და მასწავლებლების აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, მათ მიჰმართეს ქალაქის-თავს საქმეში ჩასარევათ. ამ მიზნით ქალაქის თავმა მოიწვია მშობლებისა და რევოლიუციონური პარტიების წარმომადგენელთა კრება. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. კ. ანდრონიკაშვილმა მეტად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა დღევანდელ მომენტზე და დაგმო უწლოვანო ბავშვების ასეთი უმიზნო გატაცება. დაგმეს აგრეთვე სხვა ორატორებმაც ბავშვების სწავლის შეწყვეტა უდროვოთ. ტრიბუნაზე ადის ექიმი კლიმიაშვილი, რომელიც წარბშეუხრელათ აცხადებს: როგორ შეუძლიანთ მშობლებს, ან მასწავლებლებს მოწაფეს დაუშალონ სკოლიდან გასვლა და შეიარაღება. რას უყურებთ წლოვანობას. იარაღის ტარება კარგათ შეუძლიანთ. ასეთ განცხადებამ ყველა წლოვანებში, გარდა ორიოდე ნაციონალ-დემოკრატისა ზიზღი გამოიწვია. სამაგიეროთ, თავ-აშვებული ბავშვები ტაშს უკრავდენ ექიმს. კრებამ დაგმო მათი ასეთი საქციელი, ხოლო კლიმიაშვილი და ბავშვები მექარით წავიდენ: ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამთო. ზოგიერთ გულუბრყვილოს ჰგონია, რომ ასეთი საქციელი კლიმიაშვილს და მის დამქაშებს შეუგნებლათ მოსდით, ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ასეთია ბურჟუაზიის ბუნება თავიანთ ბატონობის შესანარჩუნებლათ: ეძებონ ნაძირალები მცირე წლოვანები და დარაზმონ დემოკრატიის წინააღმდეგ. მეტი სიფხიზლე, მეტი შორს მჭვრეტელობა, აი რა არის დღეს დემოკრატიის მოვალეობა!

მეთვალყურე.

შანტაჟისტები

ამ ორი კვირის განმავლობაში ვაგზლის რაიონში გაძარცვეს რამდენიმე პირი. როგორც გადმოგვცა მოვაჭრე ი. ჯღარკავამ მასთან შესულან ქართული პოლკის ჯარისკაცთა ფორმაში გამოწყობილი პირები და წაურთმევიათ 9 ათასი მანეთი ფულად და 6 ათას მან. ღირებული ნივთები.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაგზლის ქუჩაზე გასტეხეს მოვაჭრე თათარის მაღაზია, წაიღეს 6500 მან.

26 იანვარს საღამოს 9 საათზე 20 შეიარაღებული ქართველი ჯარის კაცის ფორმაში და ერთი პრაპორშჩიკის თანხლებით შევიდენ მალაკნის ქუჩაზე სასტუმრო „ალუპკა"-ში ალ. მამუჩარაშვილთან. ამ უკანასკნელთან ამ დროს სტუმრათ ყოფილა ვაჭარი ს. კოქლაშვილი. ოთახში შესულან პრაპორშჩიკი და 7 ჯარისკაცი, სხვები გარეთ დარჩენილან სადარაჯოთ. მამუჩარაშვილს თურმე გამოუცხადეს, არ შეშინდე, ამხანაგო, ჩვენ შტაბიდან ვართ გამოგზავნილი და ვეძებთ მაჰავარიანს, რომელმაც გაიტაცა ჩვენი პოლკის ნახევარი მილიონი ფული გვიჩვენეთ თქვენი ფულები, შევადარებთ დაკარგულ ფულების ნუმრებს და თუ ჩვენი არ აღმოჩნდა, ისევ უკან დაგიბრუნებთო. ამ სიტყვებთან დაუწყეს მათ ჩხრეკა. მამუჩარაშვილს წაართვეს 1504 მან. და ნაგანის სისტემის რევოლვერი № 37604. კოქლაშვილს წაართვეს 390 მან. ამ უკანასკნელს უთხრეს თურმე, სირცხვილია, ამხანაგო, ვაჭარი კაცი ხარ და ამის მეტი ფული არ გაქვს ჯიბეშიო. ნივთებს ხელი არ ახლეს, ხომ ხედავთ ჩვენ არ ვკადრულობთ ნივთების წაღებასო, ამის შემდეგ შესულან სასტუმრო ოთახში № 12 და წაუღიათ იქვე მძინარე აფიცრის ვინტოვკა. მძარცველებმა ასეთი ხელწერილი დაუტოვეს თურმე გაძარცულებს: სასაცილო ისაა, რომ ამ ვაჟბატონებს პატარა ხელწერი მიეცათ მამუჩარაშვილისათვის „ალ. მამუჩარაშვილი, ს. კოქლაშვილი—1500 მან., 390 მან".

ი. გ.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 29 იანვარს მოხდა მეორე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. და ამავე რაიონის მცირე კოლექტივების წევრთა შეერთებული კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება კომიტეტიდან, არა ჩვეულებრივი საზოგადო კრების მოწვევა, საზოგადო კრების დღის წესრიგის გამომუშავება, საოლქო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების დასახელება, განცხადებები და სხვ.

კომ. წევ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ეშელონების მიერ გამოგზავნილ დელეგატების აზრით, ისინი არ ეპირებიან თფილისში წამოსვლას, არამედ მიემგზავრებიან თავ-თავიანთ სახლში. კომიტეტის აზრით ნაციონალური საბჭოები არ უნდა ეწეოდენ არავითარ კანონმდებლობითი ფუნქციების შესრულების საქმეს და სამხედრო ნაწილებიც უნდა ექვემდებარებოდეს საოლქო მთავრობასო. წითელ-გვარდიელების განცხადება, რომ მათ წრეში ხშირ-ხშირად იმართებოდეს ლექციები, რეფერატები და მოხსენებები ეს კითხვა კომ. მიიღო მხედველობაში. კრებამ დაადგინა ორ თებერვალს დილის 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე (მიხეილის ქუჩა № 91) მოიწვიოს საგანგებო საზოგადო კრება, სადაც გარჩეულ იქნება შემდეგი კითხვები: ამიერ კავკასიის სეიმი და მისი დანიშნულება, ზავის საკითხი და საოლქო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევა.

ასურელთა ს. დ. მ. პ. წარმომადგენლის განცხადებაზე, რომ მათ სურთ თფილ. ს. დ. ორგანიზაციაში მუშაობა—კრებამ წინადადება მისცა მათ ჩაეწერონ პარტიაში და სხვა ამხანაგებთან ერთად გაიწიონ პარტიული მუშაობა. ამის შემდეგ დასახელებულ იქნენ საოლქო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატები.

თედ. ხუხუნაიშვილი.

გურიანთა (გურია). 14 იანვარს სოფ. კახურში შესდგა გურიანთის რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება. კრებას დაესწრო გურიის კომიტეტიდან ამხანაგი ვარლამ კალანდარიშვილი, რომელმაც მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე და გაარკვია ის კრიტიკული პირობები, რომელსაც განიცდის რუსეთის დიდი რევოლიუცია საერთოდ და ამიერ-კავკასია—კერძოთ. ამის შემდეგ კრებამ მოსთხოვა ძველი კოლექტივის პრეზიდიუმს მათი მუშაობის ანგარიშის მოხსენება გაეკეთებიათ, როგორც ეს ყველა დაწესებულების რეორგანიზაციის დროს არის მიღებული ხოლმე, მაგრამ მან უარი განაცხადა. მდივანი, რომელსაც ებარა ეს ანგარიშები, აქ არ იმყოფება და ამისთვის ჩვენგან შეუძლებელი არის ანგარიშის ჩაბარებაო, განაცხადეს მათ და აღუთქვეს, რომ შემდეგ ჩააბარებენ ანგარიშს ახლათ არჩეულ კოლექტივს.

რადგან კოლექტივის რეორგანიზაცია დაყოვნებას არ ითმენდა, კრება შეუდგა არჩევნებს. აირჩიეს სარეკომენდაციო კომისია, რომელმაც ცოტა ხნის შემდეგ წარუდგინა კრებას 23 კანდიდატის სია. ასარჩევი იყო 15 წევრი, ფარული კენჭის ყრით, ხმის უმრავლესობით არჩეული აღმოჩნდენ შემდეგი პირები: დიომიდე ვაშალომიძე, ირაკლი კალანდაძე, გრიგოლ ნაკაშიძე, პორფილე მეხუზლა, ერემო ზაქარიაძე, სერგო მურვანიძე, სიმონ გ. კვაჭაძე, ქრისტეფორე შეწირული, მოსე მალაზონია, რაჟდენ მიქატაძე, ესე ტოტოჩავა, კოწია ელენტი, ილარიონ დობორჯგინიძე, ირაკლი დარჩია და ერმილე ქათამიძე.

რადგან გვიან იყო, სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა გადაიდო შემდეგ კრებისთვის. ბოლოს დაადგინეს 21 იანვრისთვის შემდგარიყო ახალი და ძველი კოლექტივის წევრების კრება და საბოლოოთ ჩაებარებია ყოველივე ანგარიშები ახალ კოლექტივს და განაწილებულიყო სხვადასხვა ფუნქციები ერთმანეთს შორის.

პ. ბაილეთელი.

მუშათა შორის

ალექსანდროპოლის რკინის გზის დეპო. როგორც დღიური, აგრეთვე თვიურ (მემანქანე და მათი თანაშემწენი) მოსამსახურეებში სრული ანარქია არის გამეფებული. რა არ გნებავთ უსაქციელობა ამ ხალხიდან არ წარმოდგეს: ქურდობა, ლოთობა, კარტის თამაში და ალვირ-ახსნილი სპეკულიანტობა. უკანასკნელმა მოვლენამ კი თავის უკიდურეს განვითარებამდე მიაღწია. განსაკუთრებით მემანქანეები და მათი თანაშემწეები ეზიდებიან ულუხანლუდან სარიყამიშში ყოველგვარ სპირტეულობას და დიდძალ მოგებას იჯიბავენ. სარიყამიშიდან ეზიდებიან ნაქურდალ ნივთეულობას, როგორიც არის მაგ. მავთულების დიდი კონები (გაძარცულ სამხედრო საწყობებიდან), საცვლები, ჩექმები და სხვადასხვა, და ერთი სამათ და ოთხათ ასაღებენ. სამწუხაროთ ასეთ ვაჟბატონებს ხელს უწყობენ დეპოს მორიგი „რევიზორებიც", რომელთა წყალობითაც ცნობილი სპეკულიანტების „მარშრუტს" შეადგენს ულუხანლუ-სარიყამიში. სანაინისკენ კი ამ ბატონებს დიდი ხანია გზა მოესპოთ. სამაგიეროთ ხელი-ხელსა ბანს და ორივე კი პირსო, „რევიზორები" მუდამ ქეიფში და ლხინში ატარებენ დროს მათ სპეკულიანტების ოჯახებში. ჩვენდა სამწუხაროთ მათ შორის ზოგიერთი მოწინავე პირებიც იღებენ მონაწილეობას.

ჩემის აზრით, ასეთ მოვლენებს ადგილი არ ექნებოდა აქ, რომ ადგილობრივი სოც.-დემ. პარტია მუშაობდეს, მაგრამ სამწუხაროთ, უკანასკნელი აქ მხოლოდ სახელათ არის და ნამდვილათ კი შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. აგერ ოთხი თუ ხუთი თვე გადის და ერთი პარტიული კრება არ მომხდარა, რის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს აქაური მოწინავე ამხანაგების გულგრილობა.

წარსული წლის ოქტომბერში აქ დაარსეს (დღიურებსა და მანქანებზე მომუშავე თვიურ მოსამსახურეთა) პროფესიონალური კავშირი. თვე ნახევრის განმავლობაში კავშირის არსებობამ თვალსაჩინო როლი ითამაშა რკინის გზის მოძრაობაში და მოსამსახურეთა შორის წესიერების დამყარებაში. ასეთ კავშირს ანგარიშს უწევდა, როგორც რკინის გზის სამმართველო, აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაციაც, მაგრამ აქაც იჩინა თავი ინტრიგანობამ და მისი არსებობა ხანმოკლე გამოდგა. არ ვიცი ბოროტ განზრახვით იყო გამოწვეული, თუ ნამდვილათ კარგი სურდათ კავშირისათვის, ზოგიერთ ვაჟბატონებმა გასწიეს აგიტაცია პრეზიდიუმის შემადგენლობის უვარგისობაზე და მოახდინეს მისი რეორგანიზაცია, რის შემდეგ დაიჭირეს პრეზიდიუმის ალაგი.

იმ დღის შემდეგ გავიდა აგერ სამი თვე და კავშირის კრება ორჯერაც არ მომხდარა. როგორც ეტყობათ პრეზიდიუმის წევრებს ბევრათ არ ეპიტნავებათ კავშირის არსებობა და სწორედ აქ უნდა ითქვას: ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, აქაურ ლოთ, კარტის მოთამაშე სპეკულიანტებიც დღესასწაულობენ ასეთი თავისუფლებით.

აგერ სამი კვირა გადის, რაც ჯარების გადაყვანის საქმე შეჩერებულია. ვაგონების უქონლობის გამო დღეში ორი-სამი მატარებელზე მეტი არ მიდის. ადგილობრივი მემანქანეთა რიცხვი 55 და მათი თანაშემწე კი 90 კაცია. ამათ გარდა „კამანდიროვკაში" მყოფთ რიცხვი 180-მდეა და ამდენი ხალხი კი სხედან სახლებში უსაქმოდ. მიუხედავათ იმისა, რომ ახლო მომავალში არაფერი შანსები სჩანს მოძრაობის სრული აღდგენის და რკინის გზა დიდ ხარჯებს განიცდის, „კამანდიროვკით" გამოწვეულს, რკინის გზის მთავრობა განკარგულებას არ აძლევს, რომ იგინი დააბრუნონ თავიანთ დეპოებში.

ეკალი

პროვინცია

პატარა-ონი. (რაჭა). 21 იანვარს შესდგა საზოგადო ყრილობა, ყრილობას დაესწრო 50-მდე ჯარისკაცები. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: სახლში მოსული ჯარისკაცების თავიანთ ადგილებზე სამსახურში დაბრუნება, იარაღის ჩამორთმევა, ანარქისტული მოქმედების წინააღმდეგ ზომების მიღება და სურსათ-სანოვაგის საქმის მოწესრიგება. კამისარმა ლ. ქარაზანაშვილმა წაიკითხა გუბერნიის კამისარის გამოგზავნილი დეპეშები, რომ ყველა ის ჯარისკაცები, ვინც დროებით სახლში წასული არიან უნდა გამოცხადდენ ქუთაისში ერთი კვირის გამავლობაში, ჩამოერთვას ყველა ჯარისკაცებს და სხვებსაც იარაღები და გადაეცეს ადგილობრივ ორგანოებს. ამაზე ჯარისკაცებმა ერთხმათ უარი განაცხადეს: ჩვენ არც სამსახურში მივდივართ და არც იარაღს შევეღევითო. კომისარმა ლ. ქარაზანაშვილმა ურჩია ჯარისკაცებს დამორჩილებოდენ მთავრობის განკარგულებას, მაგრამ ზოგმა ჯარისკაცებმა აურ-ზაური ასტეხეს, პატარა-ონის აღმასრ. კომიტეტის წევრს ამხ. ა. ჯებაშვილს კინაღამ სცემეს, ამხ. ი. ჭელიძე სთხოვს ჯარისკაცებს ძალმომრეობას ნუ ეწევიან, ზოგიერთი ჯარისკაცების მოქმედებით შიშისაგან ხალხი თავზარდაცემულია, ვინტოვკის თოფებით და რევოლვერებით შეიარაღებული ჯარისკაცები განუწყვეტლათ ისვრიან თოფებს სოფელში. საჭირო არის უმაღლესმა მთავრობამ აუკრძალოს ჯარისკაცებს სახლში თოფების წამოღება. მეტი ნაწილი ჯარისკაცების ვითომ ბოლშევიკობენ და ხალხში ცრუ ხმებს ავრცელებენ, მენშევიკები მდიდრებს იცავენო, ბოლშევიკები მდიდრებს ებრძვიანო. ყრილობამ სთხოვა ჯარისკაცებს თავიანთ შორის აერჩიათ ხუთი კაცი, რომელნიც იმუშავებს აღმასრულებელ კომიტეტთან ჯარისკაცებში საქმის მოსაწესრიგებლათ, ჯარისკაცები დასთანხმდენ და აირჩიეს ხუთი ჯარისკაცი. ყრილობამ დაადგინა, რომ ანარქისტულ მოქმედებას სასტიკათ ებრძოლონ, სურსათ-სანოვაგის საქმის მოსაწესრიგებლათ ყრილობამ აირჩია თითო სოფელზე ორ-ორი კაცი, რომელნიც ეცდებიან შეიძინონ სიმინდი ხელმისაწვდომ ფასებში.

საკვირაოსთაველი.

ს. შუბანი (გურია) უკვე ერთი წელია, რაც არსებობს მომხ. საზ. „ღარიბთა იმედი". მიუხედავათ ამ მოკლე ხნის არსებობისა დუქნის წარმოება დღითი-დღე ფართოვდება. აქვე არსებობს, ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, სადაც მეცადინეობა კარგ ნიადაგზეა დაყენებული. ამ დრომდის აქ სამკითხველო თუმცა ფაქტიურათ არ არსებობდა, მაგრამ, კოოპერატიულ დუქანს მაინც მოსდიოდა სხვადასხვა გაზეთები; ეხლა რამოდენიმე ადგილობრივი მოწინავე პირების ინიციატორობით დაარსდა „წიგნთ-საცავ-სამკითხველო", მხოლოდ როგორც ახალ დაარსებული, ეს სამკითხველო ძლიერ ღარიბია, და საჭიროა დახმარება ამხანაგებთან ფულის მოგროვებით, წიგნებით, გაზეთებით და სხვა. მიწოდება შეიძლება ამ მისამართით: М. Чохатауры. С. Шубани Николаю Мгалоблишвили.

Х.

ნაგომარი (გურია). 21 იანვარს შესდგა ნაგომრის მომხმარებელი საზოგადოების წევრთა არაჩვეულებრივი კრება. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებმა კატეგორიულათ მოითხოვეს გადადგომა, კრებამ გაანთავისუფლა ისინი და აირჩია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია. ახალი გამგეობის თხოვნის თანახმად კრებამ ნება დართო მას (გამგეობას) მოიწვიოს საქონლის მიმწოდებლათ და საანგარიშო წიგნების საწარმოებლად ამხ. ევტიხი კაცაძე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ათი თვის განმავლობაში სამჯერ მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის რეორგანიზაცია, რამაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა წევრებზე. აქაური უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი კრიტიკულ მდგომარეობაშია უსახსრობის გამო. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. თუმცა სამკითხველოს გაზეთები მოსდის, მარა შიგ გაზეთებს ვერ იპოვით. საჭიროა გამგეობამ ბიბლიოთეკარი იყოლიოს. ამ რამდენიმე დღის წინათ აქ მოხდა ასკანის, აკეთის, აცანის და ძიმითის საზოგადოებების სარევოლიუციო სამხედრო კომისიის წევრთა კრება. კრებამ აღიარა რა ნაგომარი ცენტრად, დაადგინა რომ წითელ გვარდიელების ვარჯიშობა ხდებოდეს თავთავის საზოგადოებაში, ხოლო თვეში ორჯერ ან ერთჯერ, როგორც ამას საჭიროთ დაინახავს პრეზიდიუმი, თავს მოიყრიან აქ, ნაგომარში სავარჯიშოთ წითელ გვარდიელები ოთხივე საზოგადოებიდან. კირილე უჯმაჯურიძის ხელმძღვანელობით აქ ამ დღეებში შესდგა თხუთმეტი ჯარისკაცისაგან ბოლშევიკური ჯგუფი.

აქაური.

ფონდი

მივიღეთ ჯ.-კ. თეოფილე კაჭახიძისაგან „ერთობის" სასარგებლოდ—2 მ. 50 კ.

ამხ. პ. ნ. ანდრიაძისაგან—15 მანეთი. აქედან 10 მ. „ერთობისათვის" და 5 მ. „ბორბა"-სათვის.

ჩვენი ფოსტა

სუხუმი, ი. ცხომელიძეს და ი. ლომინაძეს — რედაქციამ მიიღო თქვენგნით გამოგზავნილი 100 მან გთხოვთ შეგვატყობინოთ ამ ფულების დანიშნულება.

ბერეჟოული—ს. გორი, მათე დოლიძეს—მივიღეთ თქვენგნით გამოგზავნილი პირველად 40 მანეთი, შემდეგ კიდევ 30 მანეთი, გთხოვთ შეგვატყობინოთ ამ ფულების დანიშნულება.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ
ტელეფონი 14—28.

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
მ. მ. მეჰრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, ჰნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.
სახალხო სახლ. არს. ქართვ. წარმ. მმართველი წრე ხუთშაბათს 1 თებერვალს 1918 წ.
ბენეფისი
რეჟისორი კ. შათირიშვილისა.
წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა
№ 21 †
ნომერი ოცდაერთი ჯვრით
დრამა 4 მოქმ. ია ეკალაძესი. მოქმედება სწარმოებს 1907 წ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თავდგირიძე, გ. ჯაბაური, ამბ. ივერიელი, ვ. კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და ნ. ჭანკვეტაძე.
დასაწყისი საღამოს 7 საათ. ადგილების ფასი 3 მ. 90-დან 70 კ-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ-დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათ. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.
შემდეგი წარმოდგენა 4 თებერვალს.
რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. (2—2)

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

საქართ. კოოპერატ. საყურადღებოთ

საქართველოს ეროვნული საბჭოს თაოსნობით 2 თებერვალს თფილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიის და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.** ყრილობას უნდა დაესწროს თვითეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). განსახილველი საგანია: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, 2) საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. კრებები მოხდება ყველგან 2 თებერვალს, ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება თფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი: **გორის მაზრის კრება** ქალაქ გორში საკრებულოს დარბაზში. **ზაქათალის და სიღნაღის** სიღნაღში ქართულ დარბაზში. **თელავის და თიანეთის** თელავში შემნახველ გამსესხებელი ამხ. **ახალციხე-ახალქალაქის** ახალციხეში კოოპ. „მესხეთში". **თფილისის** თფილისში ეროვნულ საბჭოში. **დუშეთის** დუშეთში საკრებულოში. კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.

(7—6) **ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.**

1918 წ. იანვრის 10 თფილისში გამოვიდა ჟურნალი
„ახალი კვალი"
ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.
თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ; 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.
ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

Во вторник 30 января выйдет первый номер соціал-демократической газеты
„БОРЬБА"
В газетѣ принимают участіе: А. Азатян, Воевада, Гальперин, Гепштейн, проф. Городенскій Н. Жорданія, И. Жорданія, Ишков, Г. Коніев, Кремер, Козлов, Л. Натадзе, Н. Рамишвили, М. Смирнов, Трейман, А. Туманов, Успенская, Н. Цинцадзе, К. Чхеидзе, Д. Шаранидзе и др.
Подписка принимается в конторѣ газеты: пассаж Манташева (Дворцовая площадь, против штаба) а также въ Тифлисском комитетѣ Р. С.-Д. Р. П. (Головинскій 12 во дворѣ) и во всѣх районных коллективах.
Подписная цѣна: 1 год—40 р., 6 мѣс.—24 р. и 1 мѣс.—4 р.

მხ-ოფლ-მშ[illegible] სტამბა რუხაძისა, გამაჯის შესახვევი, № 1.